რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 18 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ. ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორ-ჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 63 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 63

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი: ძმა გეურქა იოსების ძე და მეუღლე მისი მელანია ანტონის ასული ისაევი შვილებითურთ და სიძით, დები: მარიამი იოსების ასული ასლამაზიშვილისა შვილებითურთ და სიძეებით, და ეკატერინე იოსების ასული შადინოვისა, ბიძაშვილი ნიკოლოზი ოგანეზოვი მეუღლით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ოთხშაბათს 14 მარტს დილის 10 საათზე ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ტრაღიკულად და უდროვოთ გარდაიცვალა

**არშაკ (გედუა) იოსების ძე ისაევი**

რომლის პანაშვიდი დანიშნულია შაბათს 17 მარტს, საღ. 6 ს. (მეექვსე კომისარიატი, ალავერდოვის ქუჩა № 13). გამოთხოვების დღეთ დანიშნულია კვირა 18 მარტი. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის ათ საათზე. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება გრიქორ ლუსავორჩის ეკლესიაში (კახეთის ქუჩაზე), რის შემდეგ დაკრძალვა მოხდება მავ სოფლის სასაფლაოზე. (2—2)

გულ დამწვარი ჭირისუფლები: ქვრივი მარიამ ბესოს ასული, შვილები: იაკობ, ლიზა, ივლიტა, ფედოსი და შვილიშვილი დარეჯან იაკობის ასული მშვენიერაძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ 13 მარტს დილის ცხრა საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეთა საყვარელი მამა, ხოლო დანარჩენთა საყვარელი ბაბუა

**ბიჭია პეტრეს ძე მშვენიერაძე**

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 18 მარტს ს. საღვინის წმ. გიორ. ეკლესიაზე დღის 12 საათზე. (1—1)

მეოთხე რაიონის წითელი გვარდიელები აუწყებენ ამხანაგებს ძვირფასი ამხ. წითელი გვარდიელის

**ვანო ეგნატეს ძე ჭილაძის**

ტრეღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხთა 13 მარტს, დასაფლავება მოხდება 18 მარტს წმინდა ნინოს სასაფლაოზე, გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან. (ოლღის მოედანი) (1—1)

საზოგადო თავდაცვის კომისია აუწყებს ყველა ამხანაგებს და მეგობართ ძვირფასი ამხ. წითელ გვარდიელის

**პეტრე იაკობის ძე რეზვის**

ს. სადახლოში უდროოდ დაღუპვას. დაკრძალვა მოხდება 18 მარტს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ რკინის გზის ლაზარეთიდან დილის 9 საათზე. (1—1)

## სავალდებულო დადგენილება

გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა სამკურნალო მასალებზე დააწესა შემდეგი ფასები: სათადარიგოდ შემონახული ძველი შაბიამანი—32 მან. გოგირდის სითხე 30 მან. ფხვნილი 21 მან. ნატეხები 16 მან. ვაჭრებს, კერძო პირებს, ორგანიზაციებს, ბანკებს, კანტორებს და სხვ. მოუწოდებთ ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ მათ განკარგულებაში მყოფი ზემოხსენებულ მასალების სწორი ანგარიში.

ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა, ხოლო ანგარიშის წარდგენის უკანასკნელ დღეთ ჩაითვლება 23 მარტი.

ვინც იქნება შემჩნეული ამ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევაში, გარდა იმისა, რომ პასუხისგებაში მიეცემენ, საქონელსაც რეკვიზიციის სახით ჩამოართმევენ.

გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

## არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზი

კვირას 18 მარტს ამიერ-კავკასიის სეიმის წევრი

**ა. გ. ზურაბოვი**

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

**„ომი და ოსმალეთი"**

ბილეთები—3 მან. 50 კაპ.-დე იყიდება გაზეთ „ბორბის" კანტორაში (სასახლის მოედანი, თამამშევის ქარვასლა, შტაბის პირდაპირ) დილის 9—2 საათ. და საღ. 5—8 საათ. ლექციის დღეს კი არტისტულ საზოგადოების შენობაში. (2—2)

## მეხუთე უბნის მოქალაქეთა საყურადღებოთ

ორშაბათს 19 მარტს საღამოს 5 საათზე ქალაქის შკოლის შენობაში (მეხუთე სამ. უბანი, სუფ სარქისის ქუჩა) დანიშნულია მეხუთე სამ. უბნის მოქალაქეთა და სახლის კომიტეტების წარმომადგენელთა

**საერთო კრება**

განსახილველი საკითხები: 1) პურზე ფასის მომატება და 2) მოქალაქეთა რამოდენიმე კათეგორიათ დაყოფვა, რომლის თანახმად თვითეული კათეგორია სხვადასხვა ფასით მიიღებს პურს. ქალაქში სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ქალაქის გამგეობის წევრი დ. მ. კოპოვი.

საკითხი მეტად საყურადღებოა და ამიტომ ვთხოვთ ყველა მოქალაქეთ მონაწილეობა მიიღონ მის გარჩევაში.

(1—1) ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## ქართული ოპერეტა
## სახაზინო თეატრი

კვირას 18 მარტს დილის წარმოდგენა. ბენეფისი ცნობილი მომღერლის მ. ჯანოევისა.

წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტა

**არშინ მალ-ალან**

4 მოქ. გაჯიბეგოვისა, თარგ. გიგოშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ბ. რევაზოვი ქ. გიგოშვილისა, ქ. მარგველაშვილი, ქ. არჯევანიძე, მ. ჯანოევი, ჭ. ფეირქაროვი ბ. ჩაგუნავა, ბ. მიროველოვი.

დასაწყისი დილის 12 ს. გამგე სოფიკა. (1—1)

## ამიერ-კავკ. საბჭოების წითელ გვარდ. ყრილობა

20 მარტს დანიშნულია ამიერ-კავკასიის საბჭოების წითელ გვარდიელთა პირველი ყრილობა.

ყრილობის მიზანია წითელ გვარდიელთა ერთნაირ ორგანიზაციის შექმნა.

მოწვევის წესრიგი და წარმომადგენლობა:

1) ყრილობაზე წარმომადგენლობის უფლება აქვთ როგორც ქალაქის, ისე სოფლების ყველა წითელ გვარდიას, რომლებიც შემდგარია საბჭოებთან ან რევოლიუციონურ აღმასრულებელ კომიტეტებთან. პარტიულ წითელ გვარდიელებს წარმომადგენლობის უფლება აქვთ. 2) წითელი გვარდია, რომელთა რიცხვი 50—100-მდეა გზავნის ყრილობაზე ერთ დელეგატს და თვითეული სრული ასეული თითო წარმომადგენელს. 3) წვრილი ერთეულები ერთდებიან.

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) წითელი გვარდიის მიზანი და დანიშნულება, 2) ქვეყნის დაცვა და მასში წითელ გვარდიის მონაწილეობის მიღება, 3) ამიერ-კავკასიაში წითელ გვარდიის დაარსების ინსტრუქცია, 4) მუდმივი ჯარი, საყოველთაო მილიცია და წითელი გვარდია, 5) ცენტრალურ შტაბის არჩევა.

ყველა ეს კითხვები წინასწარ უნდა განიხილოს ადგილობრივ.

ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო სთხოვს ამხანაგებს დროზე გამოგზავნონ ყრილობაზე წარმომადგენლები.

ცნობების მიღება შეიძლება შემდეგი მისამართით: თფილისი, სასახლე, წითელი გვარდიის შტაბი.

საორგანიზაციო ბიურო.

## წითელი გვარდია

20 მარტისთვის წითელ გვარდიელების პირველი ყრილობაა დანიშნული. ყრილობა უნდა შესდგეს ამიერ-კავკასიის ყველა საბჭოების წითელ გვარდიელთა წარმომადგენელთაგან.

წითელი გვარდია—რევოლიუციონურ ორგანიზაციების ლაშქარია; გვარდიის მიზანია კონტრ რევოლიუციასთან ბრძოლა და რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება.

მაგრამ დღეს ცხოვრებამ გვარდიის მიზანი გააფართოვა და ისეთი რამეები დააკისრა მას, რაც მის პირდაპირ დანიშნულებას და მოვალეობას არ შეადგენს. ეს არის ბრძოლა ანარქიასთან. მართალია ანარქია ძირს უთხრის ყოველივე წესრიგს და აგრეთვე რევოლიუციურ წესრიგსაც; ამ მხრით ის საშიშია რევოლიუციისათვის, მაგრამ ანარქიის ცალკე მოვლენები ძირს უთხრიან საერთოდ მთელს საზოგადოებას და ამიტომ მასთან ბრძოლა უნდა შეადგენდეს საზოგადო მილიციის საზრუნავ საგანს. ასეთია, მაგალითად, ქურდებთან და ყაჩაღებთან ბრძოლა.

მაგრამ, საუბედუროთ, სათანადო დაწესებულებები, როგორიცაა ქალაქის თვითმართველობები და სოფლის აღმასრულებელი კომიტეტები მოკლებულნი არიან საჭირო ძალას და ამიტომ ყოველგვარ წესიერების დაცვა გვარდიას უხდება. გვარდიაც დღემდის პირნათლათ ასრულებს ამ მძიმე მოვალეობას. მოიგონეთ თელავის და გორის ამბები, სადახლოში მომხდარი უწესოება და სხვა, სადაც ასე ჩქარა და თითქმის უმსხვერპლოთ იქნა აღდგენილი წესიერება და თქვენ დარწმუნდებით, თუ რა დიდი ძალა და ავტორიტეტი აქვს წითელ გვარდიას.

მაგრამ მდგომარეობა კიდევ მეორე საპატიო მოვალეობას აკისრებს წითელ გვარდიას ეს არის სამშობლოს საზღვრების დაცვა გარეშე მტრისაგან. ეს მოვალეობა ერთი-ორათ საპატიო ც მნიშვნელოვანი ხდება იმის გამო, რომ მუდმივ ჯარის ნაშთები ჩვენში ერთობ სუსტია როგორც ფიზიკურათ, ისე მორალურათ. და ამიტომ გვარდიამ უნდა ჩაბეროს ამ ჯარს ცხოველმყოფელობა და ფიზიკური ძალა შემატოს. ასე დიდია დღეს წითელ გვარდიის მოვალეობა და როლი. სწორეთ ეს აიძულებს მის ხელმძღვანელთ სიფრთხილით და წინდახედულათ მოქმედებას, რომ ყალბი ნაბიჯი არ იქნეს გადადგმული, მომავალ ყრილობის დღიურ წესრიგში, სხვათა შორის, ასეთი კითხვებია დასმული: მუდმივი ჯარი, საყოველთაო მილიცია და წითელი გვარდია. ეს კითხვები კარდინალური მნიშვნელობის კითხვებია.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ მუდმივი ჯარის არსებობის. ეს ყველა სოციალისტურ პარტიების პროგრამის მოთხოვნაა. თუ რატომ ვართ წინააღმდეგი მუდმივი ჯარის, ეს არა ერთხელ გვითქვამს: მუდმივ ჯარს დამონავების იარაღათ იყენებენ გაბატონებული კლასები და ქვეყნის დაცვაც ჩინებულათ შეიძლება საყოველთაო სახალხო მილიციით, მთელი შეიარაღებულ ხალხის ძალით. დღეს ჩვენთვის გარდამავალი, დროებითი დაწესებულებაა მუდმივი ჯარი და როგორც კი ომის საფრთხე გაივლის, ჩვენ დაუყონებლივ საყოველთაო შეიარაღებას, სახალხო მილიციის მოწყობას უნდა შეუდგეთ.

ასეთივე დროებითი მოვლენაა, ჩვენის აზრით, წითელ გვარდიის არსებობა. რა წამს ანარქიას თავს დავახწევთ და ქვეყანა დამშვიდდება, რა წამს გარეშე საფრთხე გაივლის, წითელ გვარდიის არსებობა საჭირო აღარ იქნება. ამ მხრით წითელი გვარდია გარდასასვლელი საფეხურია საყოველთაო შეიარაღებისაკენ, საყოველთაო სახალხო მილიციის შექმნისაკენ. წითელი გვარდია—ეს ჩანასახია საყოველთაო სახალხო მილიციის იმ განსხვავებით, რომ მილიციაში სამსახური სავალდებულო იქნება და მისი შედგენა მთავრობამ უნდა იკისროს, წითელი გვარ. კი ნებაყოფლობით არის შედგენილი და მისი მონაწილენი მაღალ იდეალებით არიან აღფრთოვანებული. ეს, ასე ვთქვათ, საინციატივო ჯგუფია, რომელიც ხელს ავს ქვეყნის და რევოლიუციის გასაჭირს და მის დასახსნელათ იარაღს კიდებს ხელს.

წითელ გვარდიის ამ მიზნისა და დანიშნულებისაგან გამომდინარეობს შემდეგი აუცილებელი დასკვნა: უარყოფილი უნდა იქნას ყველაფერი ის, რასაც შეუძლია წითელ გვარდიას მუდმივ დაწესებულების, კასტის ხასიათი მისცეს. გვარდიისათვის ასეთი ხასიათის მიცემა ნიშნავს მის გაუქმებას და მუდმივ ჯარათ გადაქცევას. ეს არ არის სასურველი, რადგან წითელი გვარდია სწორეთ იმითია ძლიერი, რომ ის მუდმივ ჯარს არ ჰგავს, ის თვით შეიარაღებული რევოლიუციონური დემოკრატიაა.

ამიტომ წითელ გვარდიელების ყრილობამ უნდა შექმნას ტეხნიკური ერთობა, გამოიმუშაოს ისეთი ზომები, რომელიც ხელს შეუწყობს მის ტეხნიკურათ მოწყობის საქმეს. საკუთარ დამოუკიდებელ პოლიტიკას ყრილობა ვერ შექმნის, რადგან გვარდიელები არსებობენ რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან და ამ ორგანიზაციების კანტროლს ექვემდებარებიან. ამ მხრით არსებობს ერთი უმაღლესი ორგანო, რომელსაც გვარდია ემორჩილება—ეს არის რევოლიუციური ორგანიზაციები მუშათა და გლეხთა საბჭოების დეპუტატებისა.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მომავალი ყრილობა ხელს შეუწყობს წითელ გვარდიის ნაყოფიერ მუშაობას და რევოლიუციის და თავისუფლების ამ ძლიერ ბურჯს კიდევ უფრო გააძლიერებს.

## პრესა

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ გარეშე საფრთხე არა თუ აღუნებს კლასთა წინააღმდეგობას, პირიქით, ამწვავებს კიდეც. ხანდისხან იგი მხოლოდ ფარულ სახეს იღებს. ხან კი აშკარად გამოდის ნიღაბ ახდილი.

როცა დათმობა მუშათა კლასს ხვდება წილათ, მაღალი კლასები ერთხმად გაჰკივიან მთლიანობაზე, სამოქალაქო ზავზე, მთავრობასთან შერიგებაზე და სხვა ასეთ კეთილ-მოქალაქობრივ თვისებებზე, და ყველა ამ კეთილ თვისებების გამოჩენას მოითხოვენ მუშათა და გლეხთაგან.

მაგრამ როცა სახელმწიფოში დემოკრატია წელ გამართულია და ცხოვრების სადავე ხელთ უპყრია, ეს მაღალი კლასები პოლიტიკურ ბატონობას მოკლებულნი სულ სხვა ხმაზე მღერიან.

ჩვენ ეს არ გვიკვირს და ამას თავიდანვე ვურიგდებით, რადგან გვესმის ლოღიკა კლასთა ბრძოლის.

მაღალ კლასებს სწამთ მხოლოდ ის სამშობლო, სადაც მათ ბატონობას საფრთხე არ ემუქრება, სადაც სამშობლო და მათი კლასობრივი სარგებლობა სინონიმებია. მარა თუ სამშობლო ხალხის ხელში გადავიდა, თუ იგი სახალხო წყობილების ბჯენათ იქცა და მაღალ კლასებს შემზღუდველ ძალათ მოევლინა —ეს უკანასკნელნი მსწრაფლ მზათ არიან მისგან პირი იბრუნონ. მაშინ სამშობლო მათთვის სამშობლო არ არის.

კიდევ მეტი. მათ მაშინვე მტრისკენ უჭირავთ თვალი და მის შემოსვლას არჩევენ, ოღონდ შინაურ ხალხის ბატონობას ბოლო მოუღონ.

ჩვენი ნაციონალ-დემოკრატებიც, როგორც გარდამავალი კლასის იდეოლოგები, რომელთაც რევოლიუციამ საფუძველი გამოუნგრია, ოსმალეთისკენ იხედებიან.

მათ ეშინიათ რევოლიუციური რუსეთის, სადაც მოსალოდნელია მომავალში რეაქციის გაბატონება, მარა არ ეშინიათ რეაქციონურზე ურეაქციონერესი ოსმალეთის, სადაც საშუალო საუკუნ.-ს წესებია გამეფებული.

და სწორეთ იმ დროს, როცა ოსმალეთის ჯარები ჩვენში შემოტევას აპირებენ, ეს „სამშობლოს მოყვარულნი" ასე აგულადებენ ხალხს:

„რუსეთის სახელმწიფო საზღვრებში შესვლა ჩვენი სამშობლოსათვის ბევრათ უფრო საშიშოა, ვიდრე ოტომანურ იმპერიის ფარგალში მოქცევა".

ესე იგი ოსმალეთის ბატონობა გვირჩევნია რუსეთის ბატონობასო.

ამიტომ გაზეთი გვირჩევს უმთავრესი ყურადღება ჩრდილოეთისგან თავის დახსნას მივაპყრათ და არა ოსმალეთის ჯარისაგან განთავისუფლებას. რას ნიშნავს ეს?

მართალია ყველას აქვს უფლება თავის აზრი ქონდეს ოსმალეთზე, მარა ჩვენც გვაქვს უფლება ასეთ აზროვნებას თურქოფილური აზროვნობა ვუწოდოთ ც მის აღმსარებელთ ოსმალეთის მომხრენი.

ამის შემდეგ შესწევთ კიდევ გამბედაობა სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას უკიჟინონ მოღალატეობა.

„ამ გაზეთს („ერთობას") თავის შუბლზე ჯერ კიდევ არ წაუშლია მოღალატე რუსული პარტიის სამარცხვინო დაღი".

ამ საზიზღარ ცილისწამებას ეს ქართველ ზუბრების ორგანო იმიტომ ისვრის, რომ თვით ეპირება იმის ჩადენას, რასაც სხვას აბრალებს.

თურქოფილობიდან თურქებისთვის სამშობლოს ან უკეთ დემოკრატიის მიყიდვამდე ერთი ნაბიჯია!

და ნუ თუ ეს აქვთ განზრახული ამ ვაჟბატონებს? დემოკრატიას დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს ოსმალეთის ფაშების რეჟიმთან. და უნდა აქედანვე ალვიარონ, რომ ამ ფაშების გამოქომაგებას იგი არავის არ აპატიებს.

* *
*

ბ. შ. ნუცუბიძეს დიდი სურვილი აქვს ს.-დემოკრატიის შეცდომები აღნუსხოს და იგინი ქვეყნის დამღუპველთა როლში გამოიყვანოს.

„არის თუ არა ქართველი ერი მომზადებული შექმნილი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლათ?"

ხელ ახლა კი ხუმრობს ის და უკვირს, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში შედარებით მეთოდს მივმართეთ და პირდაპირი და გადაჭრილი პასუხი არ მივეცით. მაგრამ განა შეიძლება ამაზე პირდაპირი და გადაჭრილი პასუხის მიცემა?

ამისთვის საჭიროა იცოდე საფრთხეს რა ძალა აქვს, იცოდე ისიც, როგორ მოიქცევიან თვით ის ჯგუფებიც, რომელნიც ასეთ შეკითხვებს სვამენ. რევოლიუციურ ხანაში კი ისე სწრაფათ იცვლება სულიერი განწყობილება და ძალთა ურთიერთობა, რომ გადაჭრით შეიძლება მხოლოდ თქმა იმის, რომ ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლათ.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ის, თუ როგორი იქნება თუნდ ფედერალისტების როლი ამ საქმეში.

ნუ თუ ასეთი უბრალო ჭეშმარიტება არ იცის ბ. შ. ნუცუბიძემ?

რასაკვირველია იცის, მაგრამ მას მიზნათ აქვთ არა თვით საფრთხის თავიდან აცილებაზე ზრუნვა, არამედ ამ საფრთხის გამო მოწინააღმდეგე პარტიის დამარცხება. ცხადია ასეთი კამათისთვის ჩვენ დღეს არ გვცალია. შეცდომების აკადემიური კამათისთვის დრო მაშინ დადგება, როცა მდგომარეობა ცოტათ თუ ბევრათ ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. მანამდე კი ჩვენ გვირჩევნია საქმე ვაკეთოთ, ვინემ უბრალო კამათზე დავხარჯოთ ჩვენი ენერგია.

აქ აღვნიშნავთ კიდევ ერთ გარემოებას. ბ. შ. ნუცუბიძე ამტკიცებს, რომ იგი სწორეთ დემოკრატიულ ეროვნულ პოლიტიკაზე გვითითებს და ამის დავიწყებას გვიკიჟინებს.

მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ასეთი დემოკრატიზმის უარყოფა ყოფილა თურმე ჩვენის მხრივ „ქართველ დემოკრატიის რუსეთის სამსხვერპლოზე მიტანა". არ ვიცით ამ მსხვერპლათ შეწირვას რაში ხედავს ბ. შ. ნუცუბიძე, იმაში, რომ ჩვენ რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ვიბრძოდით და მის მთლიანობას ვიცავდით? რომ ჩვენ ამ მთლიანობისთვის არასოდეს არ გვიღალატნია?

ჩვენ ახლაც იმ აზრისა ვართ, რომ ეს სწორი და შეუცდომელი პოლიტიკა იყო და რომ რუსეთის დემოკრატია ასეთ პოლიტიკისაგან გადადგომამ ჩააგდო საფრთხეში, ეს დღეს ბრმისთვისაც კი ნათელია და თუ ბ. შ. ნუცუბიძე ვერ ხედავს ამას, ცხადია, იმიტომ, რომ მას თავიდანვე სურდა გათიშვას და დაუძლურებას ადრე მისცემოდა ნიადაგი. ტყუილათ კი არ უჭერდენ მისი თანამოაზრენი მხარს ბოლშევიკებს ყოველ მათ დეზორგანიზატორულ ნაბიჯებში! ისინი ამით სწორეთ ამ სურათის მოახლოვებას ემსახურებოდენ, როგორც დღეს ვხედავთ. თუ ეს მიაჩნია ბ. შ. ნუცუბიძეს სწორი ეროვნული პოლიტიკის წარმოებათ, ჩვენ მისთვის გზა დაგვილოცნია. ჩვენ ასეთ პოლიტიკას არც აქამდე ვაღიარებდით და არც დღეს ვაღიარებთ.

## ჩვენ და ნაციონალისტები

ქართველ ხალხის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას აქვს ადგილი. ის, რაც დღეს ჩვენი ერის შემადგენელ ნაწილებში ხდება, ღირსშესანიშნავი და დასასწავლია ქართველ მშრომელ ხალხისათვის.

მეოთხედი საუკუნეა, რაც ქართველ ხალხის გულში ჩაისახა და განვითარდა ჩვენი პარტია, სოც.-დემოკრატია. 25 წელიწადია, რაც ეს პარტია სათავეში ჩაუდგა ჩვენში არა მარტო მუშათა მოძრაობას, არა მარტო მშრომელი ხალხის კულტურულ-ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაძლიერების საქმეს, არამედ იგივე იყო ამ მეოთხედ საუკუნეში ქართველი ერის, როგორც მთელის აზროვნების გამომხატველიც.

მაგრამ ვის არ ახსოვს, თუ რა მტრულათ შეხვდენ იმ თავითვე ჩვენი ჯგუფის წარმოშობას ქართველი ნაციონალისტები. ადვილი მოსაგონებელია ისიც, რომ ეს მტრობა გაბოროტებულ სიძულვილზე გადადიოდა იმის და მიხედვით, თუ რამდენათ სწრაფათ ძლიერდებოდა მუშათა პარტია, რამდენათ ის აკავშირებდა ერის დიდ უმრავლესობას. მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ეს სიძულვილი ისე ძლიერი იყო, რომ ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაში შეერთებული იყვნენ ყველა ჯურის ნაციონალისტები თვით ანარქისტებამდე. და ამ ბრძოლის დროს მათთვის ნებადართული იყო ყოველგვარი საშუალება.

მაგრამ ყველაზე უფრო საყვარელი ბრძოლის საშუალება ცილისწამება იყო, რაც იმაში გამოიხატებოდა თითქო სოც. დემოკ. სამშობლოს უარისმყოფელი იყო, თითქო ჩვენ სამშობლო გვძულდა, ერის გადაგვარებას ვცდილობდით. ამ ცილისწამებას მთელი 25 წლის განმავლობაში გატაცებით ავრცელებდენ ჩვენი მოწინააღმდეგენი.

მართალია, ამ 25 წლის განმავლობაში სოც.-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ თავისი მოღვაწეობით არა ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ერის გადაგვარებას კი არა, მის აყვავება-აღორძინებას ემსახურება; ერის დაქსაქსვას კი არა, მის ეკონომიურ-კულტურულათ გაერთიანებას უწყობს ხელს; რომ სამშობლოს სიძულვილი კი არა, მისი სიყვარულია პარტიის საფუძველი, მაგრამ ამაოთ: ქართველი ნაციონალისტები თავისას მაინც არ იშლიდენ, ცილის წამებას კიდევ უფრო დაჟინებით იმეორებდენ, სახალხო პარტიას მაინც სამშობლოს მტრათ სახავდენ.

რას ვხედავთ დღეს?

დღეს, როცა კულტურულ-ეკონომიუ-

რათ უკვე გაერთიანებულ ჩვენ სამშობლოს დაგლეჯა-განადგურების უპირობენ; როცა ხალხს ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას ხელიდან აცლიან; როცა ერის წმინდათა წმინდა მართლა უნდათ შეადგინონ; როცა ერის თვით ფიზიკური ყოფნა არ ყოფნის საკითხია დღიურ წესრიგში დასმული; როცა სამშობლო მართლაც რომ განსაცდელშია, რას ვხედავთ ჩვენ დღეს?

ჩვენ ვხედავთ, რომ პირველი ყიჟინა —სამშობლოს შველა უნდათ—სოც.-დემოკრატიული პარტიისაგან მოისმა ქართველ ხალხს; ჩვენ ვხედავთ, რომ სამშობლოს დასაცავათ სოც.-დემოკრატიამ დარაზმა თავის საუკეთესო ძალები; დღეს ყველა ხედავს, რომ პირველი იერიში სამშობლოს მტერთა წინააღმდეგ სოც.-დემოკრატებს მიაქვთ; პირველი მსხვერპლი, რომელიც დაეცა ამ მთლიანობის დასაცავათ, სოც.-დემოკრატიულ ამ პარტიის ლიტერატურაზე აღზრდილი, ყოფილი ქიათურელი მუშა, ეხლა აფიცერი ცაგარელი იყო.

დღეს, ყველას თვალწინ, სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია მთელი თავისი შემადგენლობით ფეხზე დგას, დღე და ღამე არ სძინავს, რომ მასაში ენტუზიაზმი შექმნას. და ის აღწევს მიზანს: მან გადალახა 4 წლის ომის შედეგი, დაღალულობა, შიმშილი და ხალხი საომრათ გამოყავს, გამოყავს წითელი დროშებით, მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალეთის აგენტები ყველგან არიან, რომ ეს აგენტები მემარცხენე პარტიების სახელით მოქმედებენ, რომ ისინი ბალშევიკ ესერობენ.

დღეს ყველასთვის ცხადია, თუ როგორ პატიოსნათ აძლევენ სამშობლოს წინაშე ს.-დემოკრატები იმ თამასუქებს, რაც მათ ამ 25 წლის განმავლობაში გაუციათ.

რას შვრებიან ამ დროს ისინი, ვისაც ენაზე მხოლოდ და მხოლოდ საქართველო ეკერა, ვინც სამშობლოს ერთგულებაზე და თავდაცვაზე ისტერიულათ გაჰკიოდენ?

დააკვირდით ჩვენში არსებულ ნაციონალისტურ ჯგუფების დღევანდელ საქმიანობას, გადაათვალიერეთ ყველა მათი გაზეთები და მიიღებთ ამის პასუხს.

აიღეთ უპირველეს ყოვლისა „ვოზროჟდენიე“ და თქვენ ნახავთ იქ თავ-მოყრილ „მოწინავე წოდების“ ნაშთს, რომელთაც, როგორც არა ერთხელ შეუნიშნავს ჩვენ პარტიას, სამშობლო ისე ესმის, როგორც ეს ძველათ ესმოდა ჩვენ ფეოდალებს. მათგან მუხანათობის მეტს არაფერს ველოდით და დღე მხოლოდ გულუბრყვილოებს გაუკვირდეს, როცა ამ გაზეთში ფაშების ენას წააწყდენ...

**გაზ. „საქართველოს“ ჯგუფი?** რას აკეთებენ ამ გაზეთის იდეიაზე აღზრდილი ქართველები? მათი ერთი ნაწილი, როგორც ვიცით, იგივე მემამულეები, იგივე „ვოზროჟდენიე“-ლებია, მაგრამ მათი ვაჭარ-მრეწველები? ჩვენ ვიცით, როგორ შეხვდა ეს ხალხი ნიკოლოზის მიერ ომის გამოცხადებას. ვიცით, როგორ არ იშურებდენ თავის ქონებას პიტირიმ-დაშკოვისა და რასპუტინების გულის მოსაგებათ. დღეს? დღეს, როცა ჩვენი სამშობლო განსაცდელშია, მათში არ გამოჩნდა არც ერთი კაცი, რომელსაც ქართველ მეომართა გასამხნევებლათ თუნდაც პატარა თანხა შეეტანოს სამშობლოს დასაცავ ფონდში. პირიქით, ისინი დაჟინებით მალავენ ფულებს სახლში და ამით ხელს უწყობენ ფულის ნიშნების კრიზისს, რაც უდიდეს საფრთხეს უმზადებს სამშობლოს დაცვის საქმეს.

რას შვრება ქართველი ინტელიგენცია? გაზ. „საქართველო“-სა და უმთავრესათ კი ფედერალისტების გაზეთებში მოკალათებული? იმის მაგიერათ, რომ 25 წლის ცილის წამება ეხლა მაინც შეეგნოთ, სანაპულში ჩავარდნილიყვნენ და ხელი შეეწყოთ სამშობლოსთვის თავდასადებათ გამოსულ პარტიისათვის, ისინი სამშობლოს ამ განკითხვის დროსაც მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ ისევ სოც.-დემოკრატიას ებრძვიან. ამით ისინი აშკარათ ცხადყოფენ ჩვენ მიერ არა ერთხელ გამოთქმულ აზრს, რომ სამშობლოს ბედიღბალი მათ იმდენათ აინტერესებთ, რამდენათ ეს სამშობლო მათ კერძო საქმეში გამოიხატება; რომ ჩვენ კი არა, თითონ ისინი იგდებენ აბუჩათ ერის ინტერესებს; რომ ისინი მარტო ქეიფის დროს არიან სამშობლოსათვის თავდადებულნი. ეს ყველაზე უფრო დამაფიქრებელი იმ პატარა გულწრფელ ჯგუფებისთვის უნდა იყოს, რომლებიც ფედერალისტების პარტიაში დარჩენილან და დღემდე გულუბრყვილოდ ჯეროდათ თავის „ვერხების“ სიტყვები; იმ ჯგუფების, რომლებსაც დღეს ჩვენთან ერთათ თოფი აუღია სამშობლოს დასაცავათ.

ნიკოლოზის ომის დროს ბევრი მელანი დახარჯეს სტრატეგებმა და პოლიტიკოსებმა იმის დასამტკიცებლათ, რომ გარეშე საფრთხის წინ გარეშე ფრონტის გასამაგრებლათ პირველათ ყოვლისა საჭიროა შიგნით ერთსულოვნებაო. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ შინაური არეულობა, თუნდაც სრულებით სხვა ნიადაგზე ასეთ დროს აშკარა მოღალატეობაა; რომ ანარქია ოსმალეთის იმპერიალისტებს ემსახურება. ამიტომაცაა, რომ ოსმალეთის აგენტები ბალშევიკებისა და მემარცხენე ესერების სამოსელში გამოეწყვენ და ჩვენში ანარქიის გაძლიერებას ემსახურებიან. ნებსით თუ უნებლიეთ სამშობლოს მოღალატეებია ყველა ის, ვინც ამ აგენტებთან ერთად ხელს უწყობს ანარქიის გაძლიერებას თუნდაც იმით, რომ სისტემატიურ ბრძოლას არ იწყებს იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელიც გარეშე ფრონტის ყოველმხრივათ უზრუნველსაყოფელათ შეუდგარ ბრძოლას აწარმოებს ანარქიის წინააღმდეგ.

ჩვენ გავამართლეთ არაერთხელ ჩვენგან თქმული, რომ სამშობლოს განსაცდელის დროს ჩვენ შევძლებთ ყველა მოწინააღმდეგეებთან ერთად მუშაობას, ვინც კი ამ განსაცდელს შეიგნებს და ბრძოლაში გვერდით ამოგვიდგებაო. ჩვენ ბრესტიდან დეპეშის მოსვლის დღიდანვე ყველა დაბებში, ყველა სოფლებში და ქალაქებში საჯაროთ გავაცხადეთ, რომ დროებით განზე ვდებთ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლას, ჩვენ შემდეგშიც მოვასწრებთ მათთან იდეიურ ბრძოლას, ხოლო დღეს ეროვნულ საფრთხის წინაშე ერთად გამოვალთო. ჩვენი ნაციონალისტები კი მათგანვე გამჟღავნებათ აღიარებულ ბალშევიკებსაც კი შეუერთდენ ჩვენთან ბრძოლის კიდევ უფრო გასაძლიერებლათ. და აი მაშინ, როცა სოც.-დემოკრატია რაზმს რაზმზე აგდენს საქართველოს ყველა კუთხეში ბათუმისაკენ გასაგზავნათ; მაშინ, როცა პარტიის საუკეთესო ძალები ხალხში დადიან თავისუფლებისათვის მებრძოლთა მოსაგროვებლათ; მაშინ, როცა პარტია მკერდით იცავს ხან თბილისს, ხან ბორჯომის ხეობას და სხვას; მაშინ, როცა მუშათა პარტია ამაგრებს ბათუმს და ემზადება მსხვერპლის მოსატანათ, ყველა ჯურის ნაციონალისტებს პირი შეუკრავთ მხოლოდ და მხოლოდ ამ პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

რათა, რისთვის?

დაე უპასუხონ ამ კითხვაზე ყველა იმ გულუბრყვილოებმა, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობამ, რომელთაც დღემდე სჯეროდათ ჩვენი ნაციონალისტების ლათაიები—„სოციალ-დემოკრატებს სამშობლო სძულთ“-ო...

ზ. დათიაშვილი.

## ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ რუსებს

ამიერ-კავკასიის მთავრობამ შემდეგი მოწოდებით მიმართა ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ რუსებს:

„ამიერ-კავკასიის მთავრობა ამ უკანასკნელ ხანებში მრავალ ცნობებს ღებულობს რუს მცხოვრებთა სოფლებზე თავდასხმის და ძარცვა-გლეჯის შესახებ.

ამასთან სხვადასხვა უპასუხისმგებლო პირები აგიტაციას ეწევიან რუსების წინააღმდეგ და კერძოთ რუს გლეხების, რომ იმათ, როგორც მოსულებს, უფლება არა აქვთ დაეპატრონონ იმ მიწებს, რომლებსაც იგინი ეხლა ამუშავებენ, არამედ ადგილობრივ მკვიდრთ.

ამიერ-კავკასიის მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ რუს მშრომელ გლეხობას ისეთივე უფლება აქვს მიწების მიღებაზე, როგორც ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელ გლეხობას.

ასეთ პირების აგიტაცია რუს მშრომელ გლეხების კავკასიიდან გაძევების შესახებ ნამდვილი პროვოკაციაა.

ამიერ-კავკასიის მთავრობა მოუწოდებს რუს მშრომელ გლეხობას ნუ აჰყვებიან სტიქიურ გრძნობას და ნუ მიდიან ჩრდილო კავკასიისა და შიდა რუსეთისაკენ. ასეთი მასიური გადასახლება და გაშენებულ სოფლების დატოვება რუს მშრომელ გლეხობას დაღუპავს, რადგან ჩრდილო კავკასიაში ეხლა არეულობა და ანარქიაა გამეფებული.

ამიერ-კავკასიის მთავრობა მიმართავს ყველა რუს მოქალაქეთ, რომელნიც ამიერ-კავკასიაში ცხოვრობენ და მოუწოდებს არ აჰყვენ ბნელი ძალების პროვოკაციას და არ დასტოვონ თავიანთი სოფლები, სადაც მათ სისხლი და ოფლი ჩაუღვრიათ.

რუს გლეხებს, შეურყეველი უფლება აქვთ იმ მიწებზე, რომლებსაც იგინი ამუშავებდენ ამდენხანს.

რაც შეეხება რუს გლეხების ქონების დაცვას ყაჩაღთა ბრბოს თავდასხმისაგან, ამიერ-კავკასიის მთავრობა ყოველ საშუალებას ღებულობდა და ღებულობს დაიცოს იგი.

## კავკასიის ფრონტი

15 მარტი.

შავი ზღვის პირად ცვლილება არ მომხდარა. აჭარის წყალის რაიონში, რომელიც ბათუმიდან 20 ვერსით არის დაშორებული, ოსმალთა „ჩეტნიკებთან“ ჩვენს რაზმს შეტაკება მოუხდა. „ჩეტნიკები“ რაზმს ხელმძღვანელობას უწევდენ ოსმალთა ოფიცრები. ჩვენმა რაზმმა აქ „ჩეტნიკები“ გარეკა.

ჩაქვის ხეობაში წინ მოიწევს აჭარელთა ერთი ჯგუფი, რომელსაც შეტაკება ჰქონდა ჩვენს რაზმთან. აჭარლები გაჩერდენ სოფ. ხალას აღმოსავლეთით.

ოსმალთა „ჩეტნიკები“ გამოჩნდენ აგრეთვე ქობულეთიდან 6 ვერსის მანძილზე, სამხრეთ აღმოსავლეთით სოფ. დაგვასთან.

სარიყამიშის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ ბარდუსის რაიონში ჩვენს მზვერავებს ქურთებთან ჰქონდათ შეტაკება.

ჩვენი ჯარების ნაწილები ბაიაზეთიდან ალაშქერთის კარაკლისამდე მივიდენ.

## ამიერ-კავკასიის სეიმის გარშემო

კავკასიის დეპეშათა სააგენტო.

მომავალ კვირიდან დაიწყებს მოქმედებას კავკასიის დეპეშათა სააგენტო. სააგენტოს მიზანია, რაც შეიძლება სწორი და სრული ცნობების გავრცელება ამიერ-კავკასიაში სეიმისა და მთავრობის მოქმედების და კავკასიაში, რუსეთში და საზღვარ გარეთ მომხდარ საზოგადოებრივ ხასიათის ამბების შესახებ. სააგენტოში იქნება მოგროვილი სეიმისა და მთავრობის განკარგულებაში არსებული ცნობები, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს. ასეთი ცნობების მიწოდება პრესისა და კერძო პირთათვის სააგენტოს გარეშე აკრძალულია, რომ არ გამოქვეყნდეს ისეთი ცნობები, რომლებიც შეიცავენ სამხედრო საიდუმლოებას. სააგენტოს ბიულეტენები სამჯერ დაეგზავნება დღედღამეში ამიერ-კავკასიის ყველა სამაზრო და საგუბერნიო კომისარებს, აგრეთვე კერძო პირებს—ხელის მოწერით. თფილისის პრესა ისარგებლებს გაფართოებული ბიულეტენებით თვიურად იაფფასებში. საგანგებოთ მცირე ფასი დაწესდება სოციალისტურ პრესისათვის, რომელიც არ ისახავს კომერციულ მიზნებს. სააგენტოს ბიულეტენებში მოთავსებული იქნება რადიოდეპეშებიც.

ს.-დ. ფრაქციაში.

16 მარტის სხდომაზე ფრაქციამ საბოლოოთ განიხილა მიწის და სასურსათო კანონ-პროექტები და სადახლოში მომხდარ ამბების შესახებ მთავრობისადმი შეკითხვის ფორმა. გადაწყდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სადახლოში მომხდარ ამბებს არა აქვს სტიქიური ხასიათი,—ეს ვიღაცის მიერ მოწყობილი გამოსვლაა. ფრაქცია ფიქრობს მოითხოვოს საგამომძიებლო კომისიის დანიშვნა იმის გამოსარკვევათ, თუ ვინ მიაწოდა ცნობები მუსულმანებს და ხელმძღვანელობდა მათ სადახლოში და ვინ მოახდინა სომეხთა მობილიზაცია მუსულმანების წინააღმდეგ.

## ომი

(რადიო დეპეშა).

**ბერლინი.** 29 მარტი (ახ. სტ.). დასავლეთის ფრონტი. სკარპისთან ჩვენ შევიჭერით მტრის მოწინავე სანგრებში და ტყვეები წამოვიყვანეთ. ალბერტთან და ჩრდილოეთით ინგლისელები გვიტევენ, მაგრამ ამაოთ. არტილერია ძლიერათ მოქმედებს.

**ვენა.** 29 მარტი (ახ. სტ.). დასავლეთის ფრონტზე ოფიციალური ცნობით, ჩვენი მოკავშირეები თანდათან წინ მიიწევენ. იტალიის ფრონტზე მნიშვნელოვანი არა მომხდარა რა.

**ბერლინი.** 29 მარტის (ახ. სტ.), საღამოს ცნობა. დაღამებამდე ზარბაზნების გამუდმებული სროლა იყო. დაღამებისას ავანკურიდან დასავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით მტერს დავახევინეთ. ზოგიერთ ადგილზე ფრანგებმა კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ მეტათ დაზარალდენ და უკუიქცენ. ჯერ-ჯერობით ტყვეთ წამოვიყვანეთ 70,000 კაცი და წავართვით ათას ასი ზარბაზანი. გენერალ გუტიერის ჯარმა ტყვეთ ჩაიგდო 40,000 კაცი. ლოტარინგიის ფრონტზე გუშინ დილიდან საარტილერიო ბრძოლამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია. როტმისტრ რიხტ-გოტენმა მე-74-ჯერ გაიმარჯვა ჰაერში.

გერმანიის რადიო სადგური იტყობინება, რომ ფრანგი აფიცრები უკმაყოფილო არიან ამერიკელ ჯარების,—მათ ბრძოლის უნარი ნაკლებათ აქვთო.

## ახალი ამბები

**სროლა ერევნის მოედანზე.** 16 მარტს, საღამოს 7 ნახ. საათზე სომხის ბატალიონის ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს ერევნის მოედანს და დეზერტირები შეიპყრეს. ამ დროს საიდანღაც მოისმა თოფის სროლა. ჯარისკაცებმა სროლითვე უპასუხეს. სროლის დროს შემთხვევით მძიმეთ დაიჭრა ივანე ვასილიევი.

◆ **ბათუმში, ყარსში და სარიყამიშში** შესვლა აკრძალულია. რკინის გზებზე ბილეთებს არავის მიყიდიან, თუ სამხედრო შტაბის მოწმობას არ წარადგენენ.

◆ **თიანეთის მაზრის** თუშებმა გადასწყვიტეს სახალხო მილიცია დაარსონ საზღვრების დასაცავათ. მილიციაში 18—40 წლიანს მიიღებენ.

◆ **საქართველოს ეროვნული საბჭოს** კრება შესდგება კვირას, 18 მარტს შუადღის 12 საათზე. დღის წეს-რიგი: ჩვენი საერთო მდგომარეობა; სექციები; მიმდინარე საკითხები. კანდიდატებს შეუძლიათ დასწრება.

◆ **პურზე ფასის მომატების** შესახებ მოსალაპარაკებლათ და მოქალაქეთა რამდენიმე კატეგორიებათ დაყოფვის მოსახდენათ, რომლის თანახმად გადახდებათ მცხოვრებთ პურზე ფასი, ორშაბათს, 19 მარტს, საღამოს 5 საათზე მეხუთე სამილიციო უბანში ქალაქის სკოლის დარბაზში სუფ-სარქისის ქუჩაზე შესდგება მეხუთე ნაწილის სახლის კომიტეტთა კრება. მოქალაქეებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ კრებას. ამავე მიზნით დღეს, 18 მარტს დილის 11 საათზე ქალაქის გამგეობაში მოწვეულნი არიან სახლის, ბინის და სარაიონო კომიტეტების წარმომადგენელნი 1, 2, 3 და 4 სამილიციო უბნებისა. სასურსათო საკითხის შესახებ ორივე კრებაზე მოხსენებას გააკეთებს ქალ. გამგეობის წევრი დ. მ. პოპოვი.

◆ **ლევან დადიშქელიანის მოკვლის გამო.** თოფქეშ მყოფი, ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი გურიის მოხალისეთა რევოლიუციონური ჯარი, აღშფოთებულია თავისუფლებისთვის თავდადებული მებრძოლის ლევან დადიშქელიანის საზიზღარი მკვლელობით. მოვითხოვთ მკვლელების წინააღმდეგ მიღებულ იქნას სასტიკი ზომები. მოვუწოდებთ სვანეთს, რაჭას, ლეჩხუმს ფხიზლათ შეხვდენ ზოგიერთების ამგვარ ღალატს. გურიის მოხალისეთა ჯარის მონდობილობით: ნოე გოგელია, მიხეილ ქიქოძე, გრიშა შარაშიძე, ბენიაზ კვაჰაძე, პანტელეიმონ რამიშვილი.

◆ **რუისის** (ქართლი) აღმასრულებელ კომიტეტს და ამავე საზოგადოების ყრილობას დაუდგენია: ის თავად-აზნაურები, რომლებიც გაექცენ ბრბოს ძალმომრეობას რუისის საზოგადოებიდან ეთხოვოს დაბრუნდენ სოფლად. მათ არავითარი შიში არ მოელით.

◆ **ბათუმის ევაკუაცია.** მთავრობის რწმუნებული პოლკოვნიკი ასათიანი სთხოვს რკინის გზის უფროსს, რათა მან დღეში ბათუმში 400 დახურული ცარიელი ვაგონი გზავნოს ბარგის გადმოსატანად.

◆ **მევენახეთა და მეღვინეთა კომიტეტმა** შაბიამანზე დააწესა ფუთზე 55 მანეთი, ვინც მთელ ბოჭკას იყიდის. ცალკე ფუთობით 58 მანეთი ეღირება. შაბიამანი გაიყიდება კოოპერატივებში.

◆ **მთავრობის განკარგულებით** გუშინ დაიხურა სომხური კომუნისტური გაზეთი „კარმირ ორერ“.

◆ **ავლაბრის რაიონის თავდაცვის** კომისია სთხოვს ყველა რაიონების ამხანაგ წითელ გვარდიელებს დაესწრონ სადახლოში ვერაგულათ მოკლულ ამხანაგ პეტრე რეზვის დასაფლავებას, რომელსაც გამოასვენებენ კვირას 18 მარტს დ. 9 ს. რკინის გზის საავათმყოფოდან (ანდრეევის ქუჩაზე დიდუბეში) მიცვალებულს გაატარებენ მიხეილის და გოლოვინის ქუჩაზე და დაასაფლავებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

◆ **სტუდენტების კრება.** დღეს, 18 თებ. დღის თორმეტ საათზე „ალ-ბაირაკის“ რედაქციაში დანიშნულია სოციალ-დემოკრატ სტუდენტების კრება განურჩევლათ ეროვნებისა. კრების მიზანია გამოარკვიოს საშუალებანი ანარქიასთან საბრძოლველათ და ეროვნული შუღლის მოსასპობათ.

◆ **ლექცია.** დღეს, დღის 12 საათზე არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ამხ. ა. ზურაბოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ომი და ოსმალეთ“. ბილეთები იყიდება დილის 10 საათიდან საკონცერტო დარბაზში.

◆ **ქურდების შეპყრობა.** მილიციონერებმა შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს: დავით კუჭაშვილი, მამედ გადჟი მურატ ოღლი, სარქის აკოპოვი, მარიამ ტრიანცი და ფედოსია პროკოფიევისა. მათ აღმოაჩნდათ ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების დუქნიდან გატანილი საქონელი.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, დილის 10 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხაილოვის ქუჩა № 91) შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. დღის წეს-რიგი მიმდინარე მომენტი და სოციალისტური რაზმები.

— დღეს, კვირას, საღამოს 5 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგება კრება სეიმის ს. დ. ფრაქციისა, „კრაევოი“ ცენტრისა, საოლქო კომიტეტისა, აღმასრულებელი და თფილისის კომიტეტებისა. მოხსენებას გააკეთებს ის. რამიშვილი სასურსათო კრიზისის შესახებ.

— 18 მარტს, საღ. 5 საათზე ეროვნულ საბჭოს დარბაზში (ფრეილინის ქ. № 11) დანიშნულია ეროვნ. საბჭ. განათლების სექციის საგნობრივი კომისიის წევრთა შეერთებული კრება. განსახილველი საგანი: საგნობრივი კომისიის მოხსენება.

— დღეს, 18 მარტს საღამოს 4 საათ. ნაძალადევის თეატრში დანიშნულია პირველ რაიონის ქალთა საერთო კრება.

— დღეს, დილის 11 საათზე შესდგება ქალაქის საბჭოს ს.-დ ფრაქციის კრება.

— დღეს, 18 მარტს დღის 4 საათზე, სასურსათო გამგეობის შენობაში (რტიშჩევის დაბებუთოვის ქუჩის კუთხე) დანიშნულია სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკების სასურსათო გამგეობის მოსამსახურეთა კრება. სთხოვენ ყველა უბნის კომიტეტების, ქალაქის დუქნების და ბარათების ბიუროს მოსამსახურეებს დაესწრონ კრებას.

## პროვინციის ქრონიკა

**დიდი ჯიხაიში.** 10 მარტს მოხდა დაკრძალვა ბათუმში 5 მარტს ფლოტის აღების და შეტაკების დროს მეზღვაურების მიერ მოკლულ ამხ. სიმეონ ცაგარელის ცხედრისა. დაკრძალვას დაესწრენ ყველა საზოგადოებების და რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენელნი წითელი დროშებით და ცოცხალ ყვავილების გვირგვინებით. იყვენ წარმომადგენელნი ბათომიდან, ქუთაისიდან, გურიიდან და სხვა. წარმოსთქვეს მრავალი სიტყვები.

## თავდაცვა გარეშე მტრისაგან

თავდაცვისათვის.

დადგა ის დრო, როცა ყველა—დიდი, პატარა, ქალი, კაცი უნდა შეუდგეს ენერგიულ მუშაობას.

ყველამ უნდა დაივიწყოს პირადი ინტერესები, ერთგულათ და მედგრათ შეუდგენ თავდაცვის საქმეს.

ამიერ-კავკასია ბალშევიკების წყალობით დიდ საფრთხეშია ჩავარდნილი და მისი ბედი უნდა გადიჭრას ამ სახით: ან თავისუფლების შენარჩუნება, ან სიკვდილი. აი ეს ლოზუნგი უნდა გაიაქცეს მთელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ლოზუნგათ და ყველა უნდა შეუდგეს ამის დაცვას.

საჭიროა ყველა ორგანიზაციების სიფხიზლე და ენერგიული მუშაობა, რათა მიაქციონ ყურადღება ყველა იმ პირებს, რომლებიც წინ ეღობებიან ჩვენ სურვილებს და არ ასრულებენ იმ წესებს, რომელიც მიღებულია საერთოდ.

მდგომარეობა მეტად კრიტიკულია; ოსმალეთის ჯარი წინ მოიწევს და ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების წართმევით გვემუქრება, რომლის წართმევითაც, არ დაკმაყოფილდება და მთელ ამიერ-კავკასიაში გამეფდება. ჩვენთვის ეს ნიკოლოზის რეჟიმზე უარესი იქნება და საჭიროა ამიერ-კავკასიის ერებმა ერთხმათ დასძახონ, რომ „ჩვენ არავის არაფერს ვართმევთ და ვერც ვინმეს რამეს დავუთმობთო“.

ამ ლოზუნგით და წითელი დროშით უნდა გაემგზავრონ ფრონტისაკენ.

დრო ძლიერ ცოტა დაგვრჩენია, რომ ახალმა გაწვეულებმა შეისწავლონ სამხედრო საქმე და ამისთვის საჭიროა დროზე ზომების მიღება.

ყველა კუთხეებმა უნდა მიბაძონ გურიის მაგალითს, რომლებმაც დაივიწყეს ყოველივე პარტიული თუ პირადი ინტერესები და ერთსულოვნათ გაემგზავრენ ფრონტებისაკენ. მას უნდა მიჰყვენ სხვადასხვა კუთხის ერები.

ჯერ-ჯერობით საერთოთ საქმე კარგათ მიდის. ბათუმში დიდი მუშაობაა გაჩაღებული: დგება პოლკები, მოდის დღითი-დღე ახალი ჯარისკაცები. ერთი სიტყვით, ყველანი ერთ აზრს ადგანან და ხშირათ შეხვდებით ისეთებს, რომლებიც გაიძახიან: „ჩვენ მტერს ცოცხლები არას დავუთმობთ და მხოლოდ ჩვენს საფლავზე გადმოიარს ოსმალეთის ჯარი, რომ ბათუმი აიღოსო.

საგრძნობი ნაწილი აფიცრებისა დროს შეაფერათ იქცევიან. როგორც ძმები—ამხანაგები ისე არიან ჯარისკაცებთან, რაც ძლიერ სასიხარულო მოვლენაა.

ჯარში დისციპლინის შესახებ ყველანი მომხრენი არიან იყოს რკინის დისციპლინა, ამხანაგური, რომ ყველა დაემორჩილოს მის უფროსის ბრძანებას, როდესაც მას საჭიროება მოითხოვს.

საჭიროთ სთვლიან იქნას არჩეული კომიტეტები. მხოლოდ კომიტეტებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ ოჯახურ საქმეებს—სურსათის თუ სხვა საჭირო საგნების მიღება-დარიგებას. დანარჩენ შემთხვევაში კი ეს კომიტეტები არ უნდა ერეოდენ საქმეში. ჯარის, როგორც მომზადება, ისე სამხედრო მოქმედებას, საჭიროა თითონ უფროსები განაგებდენ.

აი ასეთი აზრის არიან ჯარისკაცები და მეც მგონია საჭიროა დღეს მაგარი დისციპლინა და ერთმანეთის დაჯერება, მხარის მიცემა. სასურველია ჯარისკაცების მიერ ენერგიის გამოჩენა და დაკვირვებული ნაბიჯის გადადგმა.

ამხანაგებო ჯარისკაცებო, მოვიგონოთ ძველი დრო, როცა ნიკოლოზის მათრახის ქვეშ ერთგულათ „ვიცავდით“ სამშობლოს.

მოვიგონოთ ის დღე, როცა პურის მაგივრათ „როზგს“ გვცემდენ და გვეუბნებოდენ: „იყავ ერთგული მეფისო“. დამერწმუნებით, რომ სწორეთ დღესაა საჭირო დაცვა თავისუფლების და სამშობლოსი.

ეს ფრონტზე ნამყოფმა ჯარისკაცებმა კარგათ იციან. ამხანაგებო, დაუჯერეთ ძველ ამხანაგებს, გაიგონეთ, რასაც უფროსები გვასწავლიან. არ არის სირცხვილი დღეს რომ მაგარი დისციპლინის ქვეშ ვიყვეთ, რადგანაც რასაც დღეს გვასწავლიან და გვეუბნებიან ის ყველა ჩვენი კეთილდღეობისთვინაა. უწინ თუ გვასწავლიდენ: „ჯარისკაცი არის მონა მეფის, მისი ტახტის და მისი სამშობლოსიო“, დღეს ეს არ არის და ყველა ის ძველი უნდა შეიცვალოს ასე: „ჯარისკაცი არის დარაჯი და მცველი ხალხის თავისუფლების და თავისი სამშობლოს კეთილდღეობის, ის თავს შეაკლავს ყველა იმ ბოროტებას, რომელიც საფრთხეში აგდებს მათ ბედნიერებას“.

აი ეს არის ჩვენი აზრი და კიდევაც უნდა ვემსახუროთ მას.

უწინ თუ ნიკოლოზის ხელში სამი დღე ვყოფილვარ მშიერი, დღეს ათ დღეს მოვითმენ, მხოლოდ კი ვხედავდე, რომ ჩემი წვალებით და შრომით ნიადაგს ვუმზადებ ჩვენს ბედნიერებას.

აი, ამხანაგებო, დადგება დღე ნეტარების, ამობრწყინდება ბრწყინვალე მზე და ჩვენც ჩვენს სამშობლოს შევძახებთ ბრძოლის ველიდან მობრუნებული, რომ მივანიჭოთ მას ბედნიერება.

გაუმარჯოს ჯარისკაცთა სოლიდარობას და ერთგულობას!

საწყალი მუშა.

## მიწის საკითხის გარშემო

ამიერ კავკასია საშინელ ეკონომიურ კრიზისს განიცდის. ისედაც სუსტი მრეწველობა და დაბალ საფეხურზე მდგომი სასოფლო მეურნეობა ომისაგან შექმნილმა პირობებმა კიდევ უფრო დაასუსტა და შეაფერხა.

მანეთის კურსი საშინლათ დაეცა. ქაღალდის ფული გამრავლდა და რაც დრო გადის მისი რიცხვი კიდევ უფრო იზრდება; ამიტომ მანეთის ღირებულება თანდათან დაიკლებს.

კრიზისის თავიდან ასაცდენათ საჭიროა მრეწველობის და მიწად-მოქმედების გაძლიერება. რაც უფრო ფართოთ მოხდება ეს, მით უფრო ჩქარა გამოვა ქვეყანა ეკონომიურ ჩიხიდან.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოციან წლებში მომხდარ ომის დროს აუწერელი მდგომარეობა შექმნა ქაღალდის ფულის გამრავლებამ.

ამ გაჭირვებიდან გამოსვლა ამერიკამ სწორეთ მრეწველობის და მიწათ-მოქმედობის გაძლიერებით მოახერხა. ამის მეოხებით ქაღალდის ფულმა თანდათან იკლო და სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში ფინანსიური საკითხი ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

ჩვენ, იქნება, ფართო ნაბიჯები ვერ გადავდგათ, მაგრამ შეძლების დაგვარ თუ რამეს გავაკეთებთ ისიც საგრძნობლათ შეგვიმსუბუქებს აუტანელ ეკონომიურ კრიზისს.

როგორც ვთქვით ერთი საშუალებათაგანი დღევანდელ მძიმე ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლათ არის მიწათ მოქმედების აღორძინება.

ამისათვის კი საჭიროა მიწების დამუშავებას დაუყონებლივ შეუდგეთ. ერთი სოფლის მუშა არ უნდა დარჩეს უმუშევრათ. და რომ ეს ასე მოხდეს მას უნდა გაეწიოს დახმარება ინვენტარით და სხვა ზომებით.

ყველა ამასთან ერთათ დღესვე უნდა გაცხოველდეს სამელიორაციო მოქმედება. ჩვენ გვყავს შესაფერი კაცები, მხოლოდ საჭიროა მუშაობის გეგმის შედგენა და ფულის გაღება. ეს საშუალებას მოგვცემს შევქმნათ საგრძნობი ფონდი მიწისა. მასთანვე განაყოფიერდება ის ადგილები, სადაც სისტემატიური მოუსავლობა წელში წყვეტს მიწის მუშას, რომელსაც ეკარგება ხშირათ უკანასკნელი სახსარი ცხოვრებისა.

ყველა ნათქვამი ჭეშმარიტებაა და თუ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ ორიოდე სიტყვა მაინც ვსთქვით, ეს იმიტომ, რომ ხაზი გაგვესვა ნაჩვენებ ზომების აუცილებლათ დღესვე ცხოვრებაში გატარებისთვის.

მთელი სიმძიმე ამ მუშაობისა, ინიციატივა ამ ერთობ რთულ საკითხში, უნდა მიიღოს თავის თავზე საგუბერნიო და სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებმა.

ისინი უნდა ეცადონ მობილიზაცია უყონ საჭირო ძალებს.

შეჰქმნან ეხლავე ყველა სპეციალისტების ორგანიზაციები. მაგ. მიწის მზომლების, აგრონომების, გიდრო-ტეხნიკების და სხვ.

აქ უნდა ვთქვათ, რომ საუბედუროთ, კომიტეტების შემადგენლობა ვერ არის ყველგან სასურველი. როგორც სამართლიანათ იყო ნათქვამი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, ზოგ მათგანში მოუკალათებია ისეთ პირებს, რომლებიც ვერ შეგვიძლია ჩავთვალოთ ხალხის ინტერესების გამომხატველათ.

ესევე უნდა ითქვას თვით ამიერ-კავკა-

სიის ‛დროებით საადგ. მაშ. კომიტეტზე. ამ მხარეს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და საჭირო რეორგანიზაცია მოხდეს.

ი. მესხი.

## ლეჩხუმის ამბები

(საჭირო განმარტება).

ცაგერში მომხდარ არეულების გარშემო ყოვლად უმგვანო განგაში ატეხეს იმ პირებმა თუ ჯგუფებმა, რომელთაც სურთ ყოველივე ის, რაც იქ მოხდა, თავის პირადი, თუ ჯგუფური ინტერესებისათვის გამოიყენონ.

სხვათა შორის ავრცელებენ ჭორებს, თითქოს რაზმის გაგზავნა იქ მომხდარიყოს ლევან დადიშკელიანის და რუბენ ყიფიანის ინიციატივით და დაჟინებითი მოთხოვნით.

დაწვრილებით ამ კითხვის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ. ახლა საჭიროთ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ რაზმი გაგზავნა მუშათა საბჭომ და არც ლევანს და არც რ. ყიფიანს არაფერი არ სცოდნია ამის შესახებ.

ლევანის და რ. ყიფიანის აქ ყოფნა სვენ მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როცა რაზმი უკვე მზათ იყო წასასვლელათ. ლევანი, როგორც ვიცით, სეიმში წასასვლელათ იყო გამგზავრებული, რ. ყიფიანი იმ დილას ჩამოსულიყო თფილისიდან, როცა რაზმი უკვე მიემგზავრებოდა.

ასე რომ, საზიზღარი ჭორია ის პროვოკაციული ხმები, ვითომც რაზმის გაგზავნის ინციატორი ყოფილიყვენ ლევანი და რ. ყიფიანი. პირიქით, ისინი გაჰყვენ რაზმს ჩვენი თხოვნით.

მუშათა საბჭოს თავმჯდომარე

გრ. ურატაძე.

## ვას. პეტრეს ძე კანდელაკი

კიდევ მსხვერპლი!..

რევოლიუციონურ რაზმს გამოაკლდა კიდევ ერთი თავგანწირული მებრძოლი... სადახლოში მოჰკლეს წითელ გვარდიელი ვასო კანდელაკი.

რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ჩადგა იგი მებრძოლთა რაზმში. მთელი ენერგიით, ახალგაზდური გატაცებით ემსახურებოდა მუშათა კლასის იდეალებს, რევოლიუციის განმტკიცების საქმეს. და როცა ეს საქმე, საერთო საქმე საფრთხეში ჩავარდა, როცა სადახლოში დაიწყო ანარქიული გამოსვლები, ვასოც თავგანწირვით გაეშურა იქ სხვებთან ერთად, მაგრამ მოწინააღმდეგის ტყვიამ იმსხვერპლა იგი.

ვასო დაეცა თავის პოსტზე... მან პირნათლათ შეასრულა თავის მოვალეობა რევოლიუციის წინაშე...

მშვიდობით, ძმაო ვასო! შენ მოგტაცა შენი სიცოცხლე მტრის ტყვიამ, მაგრამ დეე, იცოდეს ყველამ, რომ კიდევ ბევრი ყავს დამცველები იმ საერთო საქმეს, რომლის სამსხვერპლოზე შენ მიიტანე ნორჩი სიცოცხლე...

განისვენე, ძმაო ვასო, მშვიდათ მაქ, ჯვარცხმის სასაფლაოზე რაჟდენ სტურუას გვერდით. ისიც ხომ შენსავით დაეცა მსხვერპლათ ძმათა შორის ბრძოლის დროს...

ჩვენ კი, შენი ამხანაგები, არასოდეს არ დავივიწყებთ შენს წმინდა ხსოვნას და ფიცსა ვსდებთ შენი ცხედარის წინაშე, რომ ჩვენც შენსავით ერთგულათ შევასრულებთ რევოლიუციის წინაშე თავის მოვალეობას!..

მშვიდობით, ძმაო ვასო!..

მშვიდობით!.. შენი ვენე.

## პეტრე რეზვი

13 მარტს სად. სადახლოში შეტაკების დროს მტრის ტყვიამ იმსხვერპლა თფილისის მუშებში კარგად ცნობილი ამხ. პეტრე რეზვი. პეტრე ათი წლის განმავლობაში კარლინსკის ქარხანაში მუშაობდა. იგი ყველასათვის საყვარელი ადამიანი და მოწინავე მუშათაგან იყო, ბერვლის რევოლიუციამ იგი ყველასათვის თვალსაჩინო გახადა. პეტრე მუშათა საბჭოს წევრი და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მის თაოსნობით შეიკრა კავშირი ზეთის, ბამბის და საპნის ქარხნის მუშების. იგი იყო აგრეთვე მესამე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კოლექტივის და თფილისის კომიტეტის წევრი. შესდგა თუ არა მესამე რაიონის წითელი გვარდია, მან პირველმა აიღო ხელში იარაღი და ემსახურებოდა თავდაცვის საქმეს. ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში დაუღალავად და ენერგიულად მუშაობდა. იგი დაეცა ბრძოლის ველზე. მას დარჩა ერთი ხუთი წლის, მეორე ოთხი და მესამე კვირა ნახევრის შვილები, რომლებსაც ქუჩა მოელის, თუ ქარხნის ადმინისტრაციამ და რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა არ აღმოუჩინეს შესაფერი დახმარება.

მშვიდობით, ამხანაგო პეტრე! შენი სპეტაკი სახელი სამუდამოთ დარჩება შენს ამხანაგებში!

იპ. ქობალავა.

## ანარქია და მისი ლიკვიდაცია გორის მაზრაში

ანარქია გორის მაზრაში დაიწყო იანვრის შუა რიცხვებში. მანამდის მთელ მაზრაში რევოლიუციონური წესიერება არ დარღვეულა. ანარქიის დაწყებას და გაძლიერებას ხელი შეუწყო ფრონტიდან დაბრუნებულმა სალდათობამ, რომლებმაც გამოაცხადეს რა თავისი თავი ბალშევიკებათ, დაიწყეს ხალხში აგიტაციის გაწევა იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობამ ხალხი ვითომ მოატყუილა, რომ მენშევიკების პარტია არის პარტია თავადებისა და აზნაურებისა, რომ მიწის საკითხის გადაწყვეტას განზრახ აგვიანებენ, რომ ერთათ-ერთი პარტია, რომელიც ესარჩლება ხალხს და რომელმაც მოსპო საზარელი ომი საპატიო ზავის ჩამოგდებით, არის პარტია ბალშევიკებისა. შეიარაღებულმა ყოფილმა სალდათებმა ბევრ ალაგას ძალით გადააყენეს კომისარები დ მათ ალაგას დააყენეს „ბალშევიკები“. შესდგა შეიარაღებული ყაჩაღთა ბრბოები, რომელთაც სათავეში ჩაუდგენ ვითომდა ბალშევიკები და დაერიენ თავად-აზნაურობას. რამოდენიმე ყოფილი თავადების ოჯახები მთლად გაცარცვეს და გაანადგურეს და ვისაც მოასწრეს ყველა დახოცეს: არ ინდობდენ არავის—არც ქალებს, არც ბავშვებს. დახოცეს ციციშვილები ნიჩბისში, მოჰკლეს ამხანაგი ლევან ციციშვილი სოფ. წრომში და მისი სახლიდან გაიტანეს ყველაფერი. სოფ. ოსიაურში ყოფილ თავადების ვეზიროვების ორი ოჯახი დიდიან-პატარაიანათ სულ ამოჟლიტეს და მათი ქონება გაიტაცეს. ერთის სიტყვით, კალმით არ აიწერება ის სისაძაგლე, რომელსაც ჩადიოდენ ავაზაკები და რასაც ხელი შეუწყო აწ უკვე დაშლილმა გორის ნაციონალურმა ქართულმა პოლკმა. ტფილისის გუბერნიის კომისარის მიერ დროზე მიღებული ზომების წყალობით ანარქია გორის მაზრაში თითქმის მოისპო. რამოდენიმე სოფელში მცხოვრებლებს იარაღი აყარეს, ყაჩაღთა ბრბოების ზოგიერთი მეთაურნი დაიჭირეს და რევოლიუციონურ ტრიბუნალს გადასცეს. დაიჭირეს ნიჩბისელი ციციშვილების მკვლელები, რომელთაც ტრიბუნალმა დახვრიტა გადაუწყვიტა, რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი. ერთის სიტყვით, მთელ მაზრაში ბალშევიზმი ქრებოდა და თანდათან მყარდებოდა რევოლიუციონური წესიერება, რომელიც, სამწუხაროთ, დარღვეულ იქმნა ცხრა მარტს სოფელ ოსიაურში, სადაც გამხეცებულმა ავაზაკებმა ამოჟლიტეს მთელი ოჯახი გიორგი ვეზირიშვილისა, გაძარცვეს და გაანადგურეს მისი სახლი. თუ რა პირობებში მოხდა ეს მკვლელობა— ეს უკვე აღნიშნული იყო გაზეთებში. ამ ჟამათ მე საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო მხოლოდ ის, რომ ვეზირიშვილის მკვლებები უკვე შეიპყრეს და გორის ციხეში გაგზავნეს. ამ მოკლე ხანში მათ გაასამართლებს რევოლიუციონური ტრიბუნალი და, თავისთავად ცხადია, რომ მიუსჯის შესაფერ სასჯელს. რაც შეეხება გაცარცულ ნივთებს—ნაწილი ამ ნივთებისა გორის მილიციის უფროსმა არჯევანიძემ აღმოაჩინა სოფელ ოსიაურში. ამ მკვლელობის შესახებ თფილისის გუბერნიის კომისარმა მიიღო ცნობა 10 მარტს საღამოს, ქ. გორში. რადგანაც 11, 12, 13 და 14 მარტს მიტინგები იყო დანიშნული: სოფ კავთისხევში, ახალქალაქში, გომში და ატოცში, გუბერნიის კომისარმა განკარგულება გასცა, რომ ოსიაურში წასულიყო გორის მაზრის კომისარის თანაშემწე ამხანაგი ვალიკო გოგუა წითელი გვარდიით და მილიციით შესაფერი ზომების მისაღებათ, ხოლო თითონ და მასთან ერთად ვასო ცაბაძე და ვანო დურგლიშვილი გაემგზავრენ სოფელ კავთისხევში, სადაც აურებელი ხალხი დაგვხვდა, იქნებოდა ხუთი ათასამდე კაცი და ქალი. მიტინგი კომისარიატის შენობის ეზოში გაიმართა. წესიერებას იცავდა კავთისხევის რაიონის წითელი გვარდია რიცხვით ას კაცამდინ. პირველად ილაპარაკა გუბერნიის კომისარმა ქ. ჯაფარიძემ, რომელიც ვრცლად შეეხო დღევანდელ მომენტს, ოსმალეთთან მოსალოდნელ ომს, ბალშევიკების მთავრობის ავანტიურას, მათი ანარქიული მოქმედების წყალობით რუსეთის დაღუპვას. დიდხანს შეჩერდა წითელი გვარდიის შემადგენლობაზე და მის მნიშვნელობაზე. მოიყვანა რამოდენიმე მაგალითი წითელი გვარდიის გმირული მოქმედებისა, ხალხი აღტაცებაში მოვიდა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე გურულების მოწოდებამ, რომელიც გუბერნიის კომისარმა წაუკითხა ხალხს და როდესაც ამხანაგმა ჯაფარიძემ შეეკითხა მიტინგზე დამსწრე საზოგადოებას: ნუ თუ თქვენ მისცემთ ნებას ოსმალეთს, რომ მან გასთელოს ფეხქვეშ ჩვენი რევოლიუცია, ჩვენი თავისუფლება, ნუ თუ თქვენ დაუთმობთ მტერს ბათუმს, ამ ოქროს ღილს კავკასიისას, ურომლისოთ საქართველოს არსებობა წარმოუდგენელია, ნუ თუ თქვენ დაუთმობთ მტერს ყარსს—ამ გასაღებს ამიერ-კავკასიისას, ნუ თუ თქვენ არ დაეხმარებით გურიას, რომელიც აღსდგა და გმირულათ უპირებს გამკლავებას თავხედ მტერს, — აღტაცებულმა ხალხმა ერთხმათ შესძახა: ყველა გავწყდებით და ჩვენ ქვეყანას და თავისუფლებას არავის დავუთმობთო.

გუბერნიის კომისარის შემდეგ სიტყვა მოითხოვა ვიღაც ბალშევიკმა, რომელსაც გაეგო რა, რომ კავთისხევში მიტინგია დანიშნული, მოსულიყო „სიმართლის სათქმელათ“, როგორც ეს მან აღიარა.. და მოჰყა თავისებურ, ბალშევიკურ „სიმართლეს“. მან დაიწყო მთავრობის მოქმედების „გაკრიტიკება“ და როდესაც შეეხო ალექსანდრეს ბაღში მომხდარ ამბებს, ხალხმა აღარ აცალა ლაპარაკი. „ეხლა ვიცით ვინც ბძანდებითო“ —გაისმა აქა-იქ ხალხში, გვეყო, რაც გვატყუეთ, თქვენ დაღუპეთ რუსეთი და ეხლა ჩვენი დაღუპვაც გინდათო“... ერთის სიტყვით, იმავე გუბერნიის კომისარის და ამხ. ვასო ცაბაძის თხოვნით ორატორ—ბალშევიკს დაათავებიეს სიტყვა, რომლის შინაარსის გადმოცემა მეძნელება სწორეთ მისი უშინაარსობის გამო. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ვანო დურგლიშვილმა და ვასო ცაბაძემ; ერთხმათ იქმნა გამოტანილი რეზოლიუცია, რომ ხალხი მხარს უჭერს სეიმს, კომისარიატს, დაიცავს წესიერებას და დიდიან პატარიანა მზათ არიან გარეშე მტერს შეებრძოლონ. იმავე აღტაცებით და იმავე ნდობით შეხვდა ხალხი ამხ. გუბერნიის კომისარს 12 მარტს ახალქალაქში, სადაც შვიდიათასამდე კაცისა და ქალისაგან შემდგარმა მიტინგმა იგივე რეზოლიუცია გამოიტანა. ყოფილ ჯარისკაცებისაგან იქაც შემდგარა გვარდია ამხ. კოლა კაციაშვილის მეცადინეობით. აქვე საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ კავთისხევისა და ახალქალაქის რაიონებში სრული რევოლიუციონური წესიერება სუფევს, სასტიკათ ებრძვიან ქურდ-ბაცაცებს, კაცის მკვლელებს და ყოველ-გვარ ნაძირალებს, რაც უნდა მიეწეროს ამხ. თათარაშვილის, კაციაშვილის დ დანარჩენი ჩვენი ამხანაგების დაუღალავ შრომას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ რაიონებიდან პირველ დაძახებისთანავე გამოვა ათასამდინ შეიარაღებული შეგნებული და საიმედო მებრძოლი გვარდიელი. მიტინგი ახალქალაქში ადრე დაიწყო და ადრე გათავდა, რამაც საშუალება მოგვცა ავსულიყავით ხაშურში, სადაც გავიგეთ შემდეგი: ამხ გორის მაზრის კომისარის გოგუას მეთაურობით სოფ. ოსიაურს თურმე ალყა შემოარტყეს და სოფლელებს წინადადება მისცეს ერთი საათის განმავლობაში ვეზიროშვილის მკვლელებ-მძარცველები და გატაცებული ნივთები წარმოედგინათ, რაც აღსრულებულ იქმნა.

ჩვენს მისვლამდის დაპატიმრებიათ ექვსამდე კაცი, რომელთაგან ერთს თვით გუბერნიის კომისარმა ჩამოართვა ჩვენება. ამ ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ყველა იმ საზიზღარ საქმეებში, რომელიც მოხდა ოსიაურში, მიუღიათ მონაწილეობა როგორც სოფელ ოსიაურის ქართველ ნაძირალებს, ისე გარეშე სოფლიდან მოსულ ოსებისგან შემდგარ ავაზაკებს. ამავე ღამეს ორი კაცი კიდევ დაიჭირეს, სახლების გაჩხრეკის დროს იპოვეს გატაცებული ნივთები, რომელიც ინახება ხაშურის კომისარიატში. ერთი სიტყვით, მიღებულია სასტიკი ზომები და სრული დარწმუნებულიც ვარ რომ ყველას, ვისაც მიუღია ამ მკვლელობაში მონაწილეობა დაიჭერენ და ყველა მიიღებს სასტიკ სასჯელს, რასაც საჯაროთ აცხადებდა გუბერნიის კომისარი ყოველ მიტინგზე. შესანიშნავათ ჩაიარა აგრეთვე გომის მიტინგმა, რომელიც მოხდა 13 მარტს. იგივე სიტყვები, იგივე აღტაცება და ერთსულოვანება ხალხისა და იგივე რეზოლიუცია, რომლის შინაარსი ზემოთ მოვიყვანე. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ის ბალშევიკი, რომელიც კავთისხევში დაგვხვდა, გომშიაც მობრძანდა, მაგრამ სიტყვის თქმა ველარ გაბედა. გომიდან გავემგზავრეთ ბორჯომში იქაური კომისარიატის საქმეების მოსაწესრიგებლათ.

ქვიშხეთის პლათფორმაზე დავინახეთ აურებელი ხალხი, რომელთაც გაეგოთ, რომ ბორჯომში მივდიოდით და ჩამოსულიყვენ ჩვენ დასახვედრათ წითელი დროშებით. გუბერნიის კომისარმა მატარებელი გააჩერა, ჩამოვიდა და მიესალმა ხალხს იქაც, როგორც სხვაგან განუმარტეს ხალხს დღევანდელი მომენტი, მოსალოდნელი საფრთხე გარეშე მტრისაგან, წაუკითხეს გურულების მოწოდება და წინადადება მისცეს ხალხს მხარი დაუჭირონ სეიმს, კომისარიატს და მზათ იყვენ რევოლიუციის, თავისუფლების და ქვეყნის დასაცავათ, რაც ერთხმათ აღუთქვა ხალხმა.

ბოლოს, გუბერნიის კომისარის წინადადებით, ქვიშხეთმა და მის გარშემო მდებარე სოფლებმა გამოარჩიეს 50 გვარდიელი, რომელნიც იმავე ღამეს წაყვენ გუბერნიის კომისარს ატოცისკენ, საითკენაც გავემგზავრეთ წითელ გვარდიელებთან და მფრინავ ცხენოსან რაზმთან ერთად 14 მარტს დილის 7 საათზე. დიდებულ სურათს წარმოადგენდა ჩვენი მგზავრობა ატოცისკენ. ყოველ სოფელში ხალხი აღტაცებით გვეგებებოდა.

ატოცს რომ მივუახლოვდით, ჯვართან ატოცის რაიონის გვარდიელები პურ მარილით შეგვეგებენ. მოკლე და შინაარსიანი სიტყვის შემდეგ, რომლითაც მათ მიმართა გუბერნიის კომისარმა, გავემართეთ იმ ადგილისკენ, სადაც ტრიბუნა იყო გამართული და სადაც 6—7 ათას ქართველს, ოსს და სომეხს მოეყარა თავი. საგანი ლაპარაკისა იგივე იყო, რაც წინანდელ მიტინგებზე. ხალხი ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩვენი იქ მისვლით. ყველამ, განურჩევლათ ეროვნებისა გაგვიცხადა, რომ ისინი მზათ არიან სამშობლოს მსხვერპლათ შეეწირონ. ერთი მოხუცებული ოსი მივიდა გუბერნიის კომისართან და უთხრა: „მე მსურს ახალგაზდებთან ერთად წავიდე თურქებთან საბრძოლველათო, მართალია ძალ-ღონე აღარ მერჩის, მაგრამ ვასწავლი მაინც ახალგაზდებს სამშობლოსთვის და თავისუფლებისათვის ბრძოლას და სიკვდილსო. იქვე შევიტყვეთ, რომ მიტინგზე მოსულიყო ცნობილი ისაკ ხარებაშვილი, რომელსაც აბრალებდენ ყაჩაღთა ბრბოების შედგენას. მართლაც, მიტინგის გათავების შემდეგ გუბერნიის კომისარს წარუდგა ნახსენები ხარებაშვილი და სთხოვა პატიება. გამოირკვა, რომ ფრონტიდან დაბრუნებულმა ოსმა სალდათებმა შეადგინეს რაზმი იმ მიზნით, რომ თავად-აზნაურობისათვის იარაღი ჩამოერთმიათ. მიზეზი ამ რაზმის შედგენისა ყოფილა შემდეგი გარემოება. სოფელ კორბოულში (შორ. მაზრ.) ერთ გლეხს თავს დასხმიან ავაზაკები, რომელნიც სოფლელებმა დაიჭირეს და დახვრიტეს. ყველა ის ავაზაკები აზნაურები გამოდგენ. ამ შემთხვევის გამო გავრცელდა ხმა, რომ თავად-აზნაურობა ირაზმება და ესხმის თავს გლეხობასო. აი სწორეთ ამან მისცა საბაბი, რომ ზემოთ ხსენებული რაზმი შემდგარიყო და ხარებაშვილიც, რომელსაც ძალა დაატანეს, იძულებული იყო ამ რაზმის მეთაურობა ეკისრა. გამოირკვა ისიც, რომ ხარებაშვილის მეცადინეობით ამ რაზმს არც ძარცვა-გლეჯა და არც სხვა ამ გვარი უწესოება არ ჩაუდენია, ხოლო ისიც გამოირკვა, რომ ხარებაშვილის სახელით ბევრი ყაჩაღობდა.

ამხ. გუბერნიის კომისარმა ხარებაშვილს უთხრა: „მე მიპატიებია თქვენთვის, მხოლოდ გახსოვდეთ, რომ იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც არა სცნობენ და არ ემორჩილებიან დღევანდელ მთავრობას, სასტიკი ზომებია მიღებული, ჩვენ სასტიკათ ვსჯით ყოველ მტერს რევოლიუციისას, რასაც თქვენ გაიგებდით ალბათ, ამიტომ როგორც შეგნებულ კაცს წინადადებას გაძლევთ ჩვენთან ერთად თქვენც შეებრძოლოთ იმ ანარქიას, რომელიც ყველაზედ უფრო თქვენთვის, ოსებისთვის არის საზარალო“. ჩემის აზრით გუბერნიის კომისარი მოიქცა ძალიან კარგათ, რომ ხარებოვის საქმე ასე გაათავა.

ატოციდან ქვენა ტკოცაში ჩამოვიარეთ, სადაც გიორგი გომარლის სახლში შევკრიბეთ ხალხი და დღევანდელ საჭირბოროტო საკითხებზე ვესაუბრეთ. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ გუბერნიის კომისარის ერთი თვის მოგზაურობამ გორის მაზრაში და იმ ზომებმა, რომელნიც მის მიერ იქნენ მიღებული ანარქიის წინააღმდეგ, შესანიშნავი საყოფი გამოიღო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს გორის მაზრაში ვითომდა ბალშევიზმი გაჰქრა და მასთან ერთად გაჰქრა ანარქიაც.

სასურველია, რომ ამნაირივე მოგზაურობა გაიმართოს სხვა მაზრებშიაც. როგორც გადმომცა გუბერნიის კომისარმა ამ მოკლე ხანში ის აპირობს წასვლას ბორჩალოს მაზრაში, მერე კახეთში და ამნაირათ უნდა მოიაროს მთელი გუბერნია.

ხან—გან.

## ჩვენი ხალხის საყურადღებოთ

## ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ

მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

## რუსეთის ამბები

პეტროგრადის შესახებ ამ დღეებში ხმები იყო გავრცელებული, რომ ეს ქალაქი გერმანელებმა აიღესო. როგორც პეტროგრადიდან მოსული გაზეთები გადმოგვცემენ, საქმე ასე ყოფილა: ბრესტ-ლიტოვსკში ზავის შეკვრის შემდეგ გერმანელებს რუსეთში გამოუგზავნიათ სამი საკანტროლო კომისია—ჯარების დემობილიზაციის, მრეწველობის დემობილიზაციის და საფინანსო. პირველ საკანტროლო კომისიას დავალებული აქვს თვალყური ადევნოს, რომ ხელშეკრულობის თანახმათ მოხდეს მომქმედი ჯარების დემობილიზაცია; მეორე კომისიის მოვალეობაა კანტროლი გაუწიოს, რომ სამხედრო დროის წარმოება მშვიდობიანი დროის წარმოებით შეიცვალოს. მესამე კომისიამ უნდა თვალყური ადევნოს, რათა გერმანიაში რუსი ტყვეების შესანახი ხარჯები რუსეთმა ხელშეკრულობის თანახმათ ზღოს, როგორც ამბობენ, თითოეულ კომისიას თან ახლავს მცველათ ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი. ამასთან ერთად ცნობა მოვიდა, რომ გერმანელები კიდევ რამდენიმე სხვადასხვა საკანტროლო კომისიებს გზავნიან რუსეთშიო, როგორც მაგალ., სარკინისგზო, საზღვაო, ფინლიანდიის საქმეების შესახებ და სხ. და თითოეულ კომისიას თან მოჰყვება მცველათ 1000 კაცისაგან შემდგარი რაზმი. ეს რაზმები შეიარაღებული იყვენ არა თუ თოფებით და ტყვიისმფრქვეველებით, არამედ—მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნებითაც.

ამ კომისიებთან ერთად პეტროგრადში მრავლათ გაჩნდენ გერმანელი აფიცრები და გენერლები, რომელთათვის საუკეთესო ბინების რეკვიზიცია მოახდინეს. აფიცრებმა იმ წამსვე კავშირი გააბეს პეტროგრადში მყოფ შეიარაღებულ გერმანელ სამხედრო ტყვეებთან, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათი ათასს აღემატება.

როცა გერმანიის საკანტროლო კომისიების მოსვლის შემდეგ „იზვესტიაში“ ცნობა დაიბეჭდა, რომ ერთ-ერთ უბანში გერმანელებმა წითელ-გვარდიელები დახვრიტეს და ლენინი და მთავრობის სხვა წევრები პეტროგრადიდან მიდიანო, ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ყველა ეს კომისიები, რომელთაც თითქმის ერთი დივიზია ჯარი ახლდა მცველათ მოსულია იმიტომ, რომ დაიპყრას პეტროგრადა, მაგრამ ამას მისცეს ერთნაირი თვალის ამხვევი ხასიათიო. გერმანელებმა ყველა დაწესებულებებში თავიანთი აგენტები დანიშნეს. ჯერ-ჯერობით მათ თავი ფრთხილათ უჭირავთ, თითქოს რუსეთის შინაურ საქმეებში არ ერევიან, მაგრამ ყოველ დღე სხვადასხვა გვარ მოთხოვნილებებს აყენებენ. უპირველესათ ყოვლისა ეს დაეტყო პეტროგრადის გარეგნულ მხარეს: მყარდება საუცხოვო წეს-რიგი. ხულიგანებს ქუჩებში იჭერენ და ხვრეტენ. შეიცვალა შეხედულება ბანკებზე, სადაც „სოციალისტური ცდის მოხდენას“ თავი დაანებეს. მკვდრეთით აღმდგარი „ნემეცთა ბანკის“ განყოფილება შეუდგა პეტროგრადის საბანკო აპარატის მოწესრიგებას. შეიცვალა აგრეთვე დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი. ინტელიგენტებს სამსახურში იწვევენ. ლაპარაკობენ აგრეთვე, რომ დახურული გაზეთების განახლების ნებას დართავენო. პეტროგრადში დაიწყო გამოსვლა ესერების „დელო ნაროდა“-მ, მოსკოვში—„რუსსკია ვედომოსტი“-მ და სხ. მოსკოვის გაზეთებს გაზეთ „ვეჩ. ჩას“-ის სიტყვით, გერმანელების ამ სახით პეტროგრადში შემოსვლა სამხედრო დაპყრობაზე უფრო სასაშიშროთ მიაჩნიათ, ვინაიდან ყველა ეს საკანტროლო კომისიები, რომელთა დასაცავად ამოდენა გარეშე ჯარია შემოსული, სხვა არაფერია, გარდა „სახელმწიფოს შექმნისა სახელმწიფოშიო“, —დასძენენ გაზეთები.

———

**როგორ აიღეს ადესა.** 11 მარტს (ახ. სტ.) ადესის ახლოს ავსტრო-გერმანელებსა და წითელ გვარდიელებს შორის მოხდა ბრძოლა. უკანასკნელთ დახმარება გაუწიეს ადგილობრივ ნავთსადგურის მეზღვაურებმა.

ავსტრო-გერმანელების ჯარში იყო რამდენიმე ასეული უკრაინელ პარტიზანებისა. რადგან მტრის ჯარი უფრო ძლიერი იყო წითელგვარდიელები იძულებული იყვენ უკან დაეხიათ.

მტერი ელვის სისწრაფით წამოვიდა ადესისკენ. სამხედრო მთავრობის სახალხო კომისარებიდან ბრძანება ჰქონდა ყოველივე საშუალება ეხმარა ადესის დასაცავათ. ამ მოსაზრებით ადესის იქით რამდერიმე ვერსის სიშორეზე ზარბაზნები დადგეს და მომავალ ავსტრო გერმანელებს ესროდენ. ამავე დროს განკარგულება იყო გაცემული უკეთუ მტერი ქალაქში შემოვიდოდა გაენადგურებიათ ყველა სახელმწიფო ძვირფასი ქონება, უმთავრესათ ნავთსადგური და შენახული სურსათი.

დაახლოვებით ნაშუადღევის სამ საათზე მეზღვაურებმა და წითელგვარდიელებმა ბრძანება მიიღეს უკან დაეხიათ. დაიწყეს თუ არა უკან დახევა, მცხოვრებლები საზარელ მდგომარეობაში ჩავარდენ. ნაძირალებმა დრო იხელთეს და დაიწყეს აშკარა ძარცვა გლეჯა. ქალაქი სიბნელემ მოიცვა. რა მოხდა ამის შემდეგ არ ვიცით, ალბათ ავსტრო-გერმაოდენ აკერმანის და ხერსონის შეაშთხვაზე სიდან აღარავითარ პასუხს აღარ იძლეოდენ აკერმანის და ხერსონის შეკითხვაზე.

## სოც.-დემ. პარტიაში

**ს. აცანა** (გურია). თებერვლის ათს შესდგა აცანის ს. დ. პარტიის კრება, მოხსენება გააკეთა არონ ს. ჩხაიძემ, ის ვრცლად შეეხო ბალშევიკების უპასუხისმგებლო მთავრობის მოქმედებას, რუსეთში თუ როგორ მიაქანებენ ისინი რუსეთის რევოლიუციას უფსკრულისაკენ, როგორ აუხვიეს თვალი რუსეთის დემოკრატიას, მთელი რუსეთი გერმანიის იმპერიალისტებს მიჰყიდეს და მათი შემოშვებით თავისუფლებას ბოლოს უღებენ, რუსეთთან ერთად კავკასიაც გაყიდეს, ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქები, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ოსმალეთს ჩააბარეს, მიუხედავად იმისა, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა დემოკრატიითურთ, ლენინ - ტროცკის მთავრობას არ ცნობს. ბალშევიკების შავრაზმულმა ქადაგებამ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა შეუგნებელ ჯარისკაცებში როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც. ამ უკანასკნელ დროს მათმა ხულიგანურმა გამოსვლებმა აშკარათ დაგვანახეს რა დამღუპველი შედეგები მოჰყვა ბალშევიკების მოქმედებას. ამას წინეთ მოჰკლეს სეიმის წევრი ამხანაგი ლევან დადიშკელიანი. განა მისი მკვლელი ადამიანია? არა ამხანაგებო, ლევან დადიშკელიანის მკვლელი მხოლოდ და მხოლოდ შავრაზმელები და ხუნხუზებია, მოგიწოდებთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ ლევან დადიშკელიანის ხსოვნას. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

ილედროგსილ.

———

**თფილისი.** 14 მარტს ამხ. ბახტაძის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი რაიონის კოლექტივის რ. ს. დ. მ. პ. წევრთა კრება. დღის წესრიგს შეიცავდა შემდეგი კითხვები: მუშათა კლუბის სასარგებლოთ საშუალებების გამონახვა, განმანათლებელი კომისიის მუშაობა, „კლუბი მუშტაიდი“, ჯამაგირების შესახებ, წითელ რაზმელ ამხ. კანდელაკის გასვენება, „სბორნი“ ცეხი. როგორც გამოირკვა მუშათა კლუბის ასაშენებლად დიდი თანხაა საჭირო, რაც კლუბის გამგეობას არ მოეპოვება, ამიტომ კრებამ მიიღო მხედველობაში ეს და დაადგინა შემდეგი: „საამხანაგო აღორძინებას“, აღმასრულებელ ცენტრალურ კომიტეტს, პროფესიონალურ კავშირს და აგრეთვე ადგილობრივ კომიტეტის საშუალებით თვით ქ. თფილისის მმართველობასაც ეთხოვოს მუშათა კლუბის მმართველობის სახელით, რომ აღმოუჩინონ მას შეძლებისამებრ ქონებრივი დახმარება და მით შეაძლებინონ ზემოაღნიშნულ მუშათა კლუბის დაარსება. განმანათლებელი კომისიის მუშაობის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან გაზეთების გავრცელება მუშათა შორის არ არის სასურველ ნიადაგზე დამყარებული, რის გამო ბევრი ამხანაგი მუშები სულიერ საზრდოს მოკლებული არიან, იქნას მოწვეული საგანგებოთ პარტიული ამხანაგი განსაზღვრულ ჯამაგირის მიცემით, რომელიც უნდა გაუძღვეს, როგორც გაზეთების გავრცელებას, ისე ლექციების, რეფერატების, სპექტაკლების და სხვა განმანათლებელ-გართობის მოწყობასაც. მუშტაიდის კლუბში ლექციების და სპექტაკლების დროს უწესრიგობის გამო კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა: რომ უწესოებას ადგილი არ ქონდეს ისეთ დაწესებულებებში, როგორიც არის მუშტაიდის კლუბი, საჭიროა რაც შეიძლება ხშირათ იქნას გამართული ლექციები და მიღებულ იქნას სხვა კულტურული ზომები.

ჯამაგირების დაურიგებლობის შესახებ კრებამ საჭიროთ სცნო პირველ რაიონის კოლექტივის სახელით იქნას კომისია გაგზავნილი ამიერ კავკასიის კომისარიატთან, რომ დაწვრილებით აუხსნას მუშების უკიდურესი მდგომარეობა და თან მიიღონ შესაფერისი ზომები მათ დასაკმაყოფილებლათ.

წითელ რაზმელ ამხანაგ კანდელაკის შესახებ, რომელიც სადგურ სადახლოში ბნელმა ძალებმა მოჰკლეს, კრებამ დაადგინა: ყველა ამხანაგები პირველი რაიონისა 15 მარტს, საღამოს 4 საათზე, შეიკრიბონ ს. დ. ბიუროში, საიდანაც ერთად მუსიკით და ბაირაღებით წავიდენ რკინის გზის საავათმყოფოში, სადაც განისვენებს ამხ. კანდელაკი და იქიდან წამოასვენონ ცხედარი სადგურში სამტრედიაში გასასვენებლათ. თფილისის სადგურში, თანახმათ ორგანიზაციის დავალებისა, სიტყვას იტყვის ამხ. სოლომონ დოლიძე და თან ორგანიზაციის სახელით აცილებს ცხედარს სამტრედიამდე.

ვინაიდან „სბორნის“ ცეხის წარმომადგენელი სიდოროვი, ვერ ესწრება პირველ რაიონის კოლექტივს კრებებს სისტემატიურათ და ფაქტიურათ „სბორნის“ ცეხის ორგანიზაცია არც კი არსებობს, კრებამ დაავალა ამხ. ქუთათელაძეს, რომ „სბორნის“ ცეხი მოაწყო

ორგანიზაცია და აირჩიონ ისეთი წარმომადგენელი, რომელიც ივლის კოლექტივის კრებებზე სისტემატიურათ.

კვაჭაძე.

# მუშათა შორის

**ტრამვაიდან ომში გაწვეული მუშების საყურადღებოთ.** სამხანაგო კომისიამ ტრამვაის მოძრაობის მუშა მოსამსახურეებისამ 8 მარტს 1918 წელს დაადგინა შემდეგი: თანახმად საერთო გამომუშავებული პირობისა ქალაქთან, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ყველა ის მუშა მოსამსახურეები, რომლებიც გაიწვიეს ტრამვაიდან ამ ომიანობის დროს სამხედრო სამსახურში, ვალდებულნი არიან განაცხადონ სურვილი ძველ ადგილზე დადგომისა დღიდან განთავისუფლებისა სამხედრო სამსახურიდან ორი თვის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი მათგანი სამსახურში მიღებული არ იქნებიან, რასაც სამხანაგო კომისია ტრამვაის მოძრაობის მუშებისა თავის მოვალეობათ სთვლის აუწყოს გაზეთების საშუალებით ყველა იმ ამხანაგებს, ვინც ტრამვაიდან არიან ომში გაწვეული.

**ტრამვაიდან პოლიტიკურ გადასახლებულთა საყურადღებოთ** ტრამვაის მოძრაობის მუშა-მოსამსახურეების სამხანაგო კომისია აუწყებს ყველა იმ ყოფილ ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც გადასახლებულ განდევნილი იყვნენ ძველი მთავრობის დროს, როგორც პოლიტიკურათ არა სასიმედო პირნი ტრამვაიდან, რომ საკმარისი დრო გავიდა მას შემდეგ; რაც რევოლუციამ ყველა პოლიტიკურ დევნილებს სრული თავისუფლება მიანიჭა და ამ ხნის განმავლობაში შეეძლოთ დაბრუნებულიყვნენ თავის ძველ ადგილებზე ტრამვაიში, მაგრამ დღემდის ზოგიერთი მათგანი არ დაბრუნებულა მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი მათგანი თფილისში სცხოვრობენ, ამიტომ ტრამვაის მოძრაობის მუშების კომისია მოაგონებს მათ, რომ დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა ერთი კვირის განმავლობაში თუ არ განაცხადებენ სურვილს ისევ დაბრუნების სამსახურში ტრამვაიზე, მერე არაფრის გზით ტრამვაიში მიღებული არ იქნებიან.

**ტრამვაის მოძრაობის მუშების სამხანაგო კომისია.**

15 მარტი, 1918 წ.

ვსთხოვთ სოცხურ გაზეთ „ფაიქარს“ ეს ჩვენი განცხადება დაბეჭდოს.

---

**თფ. საპარიკმახეროს მუშები.** პარიკმახერი მუშები რომ გონებრივათ ჩამორჩენილნი არიან, ეს ყველასათვის ცხადია. აი მაგ., ხშირათ გაიგონებთ ამ მუშებისაგან შემდეგს: „მე არც ბოლშევიკი ვარ, არც მენშევიკი და არც სხვა რომელიმე პარტიის წევრი; რომელიც კარგი იქნება, მეც იმას მივემხრობი“. გონებრივი სისუსტეა მაშ, რა არის, რომ არსებულ პირობებში მუშა ამბობდეს არც ერთი პარტიის წევრი არ ვარო, ე. ი. არაფერი არ ვარო!

გონებრივ ჩამორჩენილობას მიუმატეთ ზნეობრივი დაქვეითება და თვალწინ წარმოგიდგებათ არა მუშა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ინტერესები, არა მუშა ფაქიზი ზნეობის პატრონი, არამედ —მუშა მუშის სახელის შემარცხვენელი.

დასახელებულ დარგის მუშებში შესდგა ე. წ. „კარტოჟნიკთა ჯგუფი“. ეს ვაჟბატონები ხშირათ მართავენ „ლაპარაკს“ (ლაპარაკს კარტის თამაშს უწოდებენ) მუდმივი ბინა ერთ-ერთ საპარიკმახეროში აქვთ.

კარგი იქნება რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდენ უფრო ფხიზელი ამხანაგები.

დროა ბოლო მოეღოს ყოველივე უწესრიგობას!..

შევიგნოთ და გავითვალისწინოთ მდგომარეობა! საფრთხე მოგველის!

საჭიროა ენერგიული მოქმედება და კავშირის გამაგრება. რისხვა.

# პროვინცია

**მდგომარეობა ზაქათალის ოლქში და სიღნაღის მაზრაში.** აქ ადას ხლიბულია: ლეკები, ქართველები, რუსები, სომხები, თათრები, ოსები და სხვა გავრცელდა ხმა: ლეკები ქართველებს უნდა დაეცენ და გარეკონ ალაზნის რაიონიდან, აგრეთვე რუსებს, სომხებს და სხვ., ხან, ვითომ ლეკები და ქართველები შეერთებულან და რუსები უნდა ამოხოცონო. ერთი სიტყვით, პროვოკაციამ ნაყოფი გამოიღო, მშვიდი მცხოვრებნი საგონებელში ჩააგდო. რუსები ესახლებიან ამ რაიონიდან და მიდიან. რუსების წასვლას დიდი სამსახური გაუწია ჯარისკაც ბოლშევიკ კუზნეცოვის აგიტაციამაც: „კავკასია რუსეთს გამოეყო და თქვენც აქ აღარ გედგომებათო“. ზაქათალის, სიღნაღის და განსაკუთრებით ალაზნის რაიონის მცხოვრებთა შორის მტრობა დაითესა.

ასეთი იყო მდგომარეობა. ამას კარგათ ხედავდენ ზაქათალის ოლქის და სიღნაღის მაზრის მოწინავენი და, რომ როგორმე კვლავ განემტკიცებიათ ერთა შორის სოლიდარობა, 30 აგვისტოს ლაგოდეხში მოიწვიეს შეერთებული ინტერნაციონალური კრება. კრებას, როგორც ინიციატორნი, ისე დამსწრენიც დიდი აღფრთოვანებით და ერთსულოვნათ შეხვდენ და მათმა მოწოდებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ამოირჩიეს საერთაშორისო მომრიგებელი კომისია 10 კაცისაგან შემდგარი, რომელშიაც შევიდნენ: ლეკები, ქართველები, რუსები და სომხები. კომისიას ყველა ნდობით შეხვდა. მაგრამ განვლო დრომ და ამ ნდობასაც ბოლო მოეღო, რადგან კომისიამ ფხა და უნარი ვერ გამოიჩინა, ძარცვა-გლეჯამ ფართე ხასიათი მიიღო. ერთა შორის შუღლმა ღრმათ გაიდგა ფესვები, ანარქია [illegible]. ლეკები ზაქათალის გზაზე მიმავალთ სხვა ტომის ხალხს ხოცავდენ და ძარცვავდენ. იყო შემთხვევა მიმავალ მილიციონერ ლეკს, რომელიც ქართველს ჰკავდა, უპირობდენ სიკვდილს, მაგრამ, როდესაც დარწმუნდენ, რომ ის ლეკი იყო და არა ქართველი გაუშვეს. ასევე ხდებოდა ალაზნის რაიონშიც ქართველები ლეკ მგზავრებს ავიწროვებდენ და ართმევდენ იარაღს. წარმოიდგინეთ, ერთ ლეკს ფეხსაცმელიც კი გახადეს. ეტლებს აჩერებდენ და კითხულობდენ: „ლეკები ხომ არ მოდიანო“. დაიჭირეს თფილისის სასურ. კომიტეტის მიცემული ზაქათალის ოლქისთვის რამოდენიმე ურემი შაქარი. მე, ამ სტრიქონების დამწერს, სად. წნორიდან ჯარისკაცები კოოპერატივის საქონელს არ მანებებდენ: „შენ ლეკებისთვის გინდა საქონელი და არ გაგატანო“. ბევრი მუდარა დამჭირდა, რომ როგორმე საქონელი წამომეღო. დეკემბერში უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ალაზნის რაიონს ლეკები დაეცემიან და გაანადგურებენ. ასეთივე ხმები გავრცელებიათ ზაქათალის ოლქშიც, რომ სიღნაღის მაზრის მცხოვრებნი უნდა დაეცენ ზაქათალის ოლქს და ლეკები დახოცონო. ამ ხმების გამო ლეკებს ჰქონებოდათ დ. ბელაქანში კრება და გამოეტანათ შემდეგი დადგენილება: „ვინაიდან ზაქათალის გზაზე ქრისტიანების ძარცვა-გლეჯამ მასიური ხასიათი მიიღო რაშიდაც დამნაშავე არიან არა კობახჩოსა და დ. ბელაქნის მცხოვრებნი, არამედ ოლქის სხვა სოფლების მცხოვრებნი, ვინაიდან კობახჩო და ბელაქანი სიღნაღის მაზრასთან მჭიდროთაა დაკავშირებული და, მცხოვრებთა ინტერესები მოითხოვს მათი ძმური და მეზობლური კავშირის უფრო გაღრმავებას და განმტკიცებას, ვინაიდან ის ხმებიც ვითომ ქართველებს უნდათ ჩვენზე დაცემა და ამოხოცვა პროვოკატორთა ენის ბრალია, რომელთაც სურთ ჩვენ შორის შუღლი ჩამოაგდონ და ჩვენი ოჯახი დააქციონ; წინადადება მიეცეს საოლქო კომისარიატს. გამოსცვალონ ყველა ძველი მოხელეები და ყოველი ზომა მიიღონ, როგორც მძარცველების, ისე პროვოკატორების წინააღმდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბელაქნისა და კობახჩოს საზოგადოება აიღებს იარაღს ხელში და გამოვა ზაქათლის ოლქის და განსაკუთრებით ყაჩაღ-პროვოკატორებთან საბრძოლველად, ვინაიდან მოხსენებულ ორ საზოგადოებას სურს სიღნაღის მაზრასთან მჭიდრო კავშირის და მეზობლური განწყობილების შენარჩუნებაო“. ეს რეზოლიუცია დეპეშით ეცნობა ზაქათლის კომისარიატს და ლაგოდეხის აღმასრულებელ კომიტეტს.—ლაგოდეხის რაიონის (ალაზნის) მცხოვრებნი თავზარდაცემულნი იყვნენ გავრცელებული ხმებით და, თავს იყრიდენ ლაგ. კომიტ. სამმართველოსთან. ეს იყო 24 დეკემბერს. საღამოს დეპეშაც მიიღო კომიტეტმა და ხალხმა უფრო მრავლათ მოიყარა თავი. გაიმართა მრავალ რიცხოვანი კრება. კრებაზე ამოირჩიეს თავდაცვის კომიტეტი და ექვსი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია ბელაქანსა და ზაქათალაში გასაგზავნათ.

25 დეკემბერს დელეგაცია გაემგზავრა რამდენიმე მილიციონერის თანხლებით. ასეთ საშიშო მდგომარეობას განიცდიდა ორივე მეზობელი კუთხე და, მეზობელი ერები პროვოკატორთა მეოხებით.—მივედით დ. ბელაქანში. სამმართველოს ეზო სავსე იყო ხალხით, ლეკები აღფრთოვანებული შეხვდენ ჩვენ საშვიდობო დელეგაციას და ყოველივეს გულდასმით ისმენდენ. იგინი დაგვპირდენ, რომ ჩვენ ყოველივე ზომას მივიღებთ იმ ბრბოს წინააღმდეგ, რომელიც ძარცვავს და ხოცავს ქრისტიანებს, ვეცდებით პროვოკატორთა შეპყრობასაც და შესაფერ სასჯელს მივცემთ. თქვენც ეცადეთ თქვენს რაიონში მუსულმანების დევნა, ჩხრეკა და პროვოკატორთა თარეში მოსპოთ. ჩვენ გვრწამს, რომ არ წამოეგება ხალხის მტრების ანკესზე არც ერთი მხრის შეგნებული ნაწილი, მაგრამ ისიც კარგათ ვიცით, რომ შეუგნებელი უმრავლესობაა ორივე მხარეში და მას უფრთხივართო. მათ გაგვაყოლეს ორი თავიანთი წარმომადგენელი და დამშვიდებული გავემგზავრეთ საოლქო სამმართველოში ქალ. ზაქათალას. უკვე ღამის ცხრა საათი იყო, რომ მივედით ქალაქში. ყველაფერი დაკეტილი იყო. ქალაქს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ქუჩაში ვერავის შევხვდებოდი. ადგილობრივი სომხები უკვე ხუთ საათზე ხურავდენ ყოველ დაწესებულებებს, ეზოებს და დარაბა მოხურულ სახლებში სულ განაბული ისხდენ. ისინიც დაეშინებინათ: დაგხოცავენო. ბევრს მიეტოვებია ზაქათალა და მიდიოდენ სხვა ქალაქებში.—ყიდდენ ყოველივეს უფასოდ, ოღონდ თავი გადეცილებინათ „ლეკების“ ქალაქისათვის. მეორე დღეს მოვიწვიეთ შეერთებული კრება და დელეგაციამ გამოარკვია ყოველივე მათი მდგომარეობა.—მართლაც, ქრისტიანები დიდ გაჭირვებას და დევნას განიცდიდა.—დელეგაცია გაეცნო ფაქტებს და გაეშურა საოლქო კომისარიატში. კომისარებმა ზრდილობით მიიღო დელეგაცია, ყველაფერი მოუსმინა. დელეგაციამ სთხოვა აღმოეჩინა იქ მყოფი ქრისტიანებისათვის დახმარება თავდაცვის საქმეში.—კომისარებმა განაცხადეს: „მართალია ზაქათლის ოლქში თავი იჩინა ანარქიამ, მაგრამ ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საოლქო კომისარიატიდან სოფლის კომიტეტებამდე, ყველა მოხელეები არ ეყვნენ თავის ადგილებზე. ვერ შექმნეს მტკიცე და მაგარი ორგანოები.

ჩვენ, ეს პირველი კვირაა, შეუდექით ოლქის მართველობას და იმედი გვაქვს ანარქიას ჩავაქრობთ და, განვამტკიცებთ ჩვენს ურთიერთ შორის დამოკიდებულებას.—ოლქში სამხედრო წესები გამოვაცხადეთ და მკაცრი ზომებია მიღებული ქურდ-ავაზაკების და პროვოკატორების წინააღმდეგო“.

განსაკუთრებული ზომებია მიღებული ქრისტიანების სიცოცხლის და ქონების უზრუნველ საყოფად. გამოცხადებულია სიკვდილით დასჯა ყველა დამნაშავეთათვის. თქვენც მიიღეთ ზომები თქვენს რაიონში ნუ სძარცვავენ და ჩხრეკენ მუსულმანებს, რადგან ეს ძალიან ცუდათ მოქმედებს მასაზე“-ო. ამ სიტყვებით თავაზიანათ დაგვემშვიდობნენ კომისარები, გამოგვატანეს რამოდენიმე მილიციონერი და გამოვემგზავრეთ. დელეგაციამ ლაგოდეხში გააკეთა მოხსენება. მართლაც ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა შეწყდა ორივე მხარეზე.—ალაზნის რაიონში დახოცეს მილიციონერებმა შვიდი ქურდი—აგრეთვე დახოცეს სხვადასხვა ადგილებში, სიღნაღის მაზრაში.—პროვოკატორები მაინც არ სცხრებოდენ და ავრცელებდენ ათას ხმებს. რაც დრო გადის, პროვოკაცია უფრო ღრმათ იდგამდა ფესვებს და მდგომარეობა მწვავდებოდა.

21 იანვარს, სად. წნორზე მოწვეულ იქმნა შეერთებული კრება, სადაც სხვა საკითხებს გარდა გადასწყვიტეს: შეერთებული საგამომძიებლო კომისიის არჩევა და გზებზე მილიციის სადარაჯოთა გამრავლება. უკანასკნელი ჯერ კიდევ არ არის სისრულეში მოყვანილი.—შავრაზმელთა ენებმა და უპასუხისმგებლო პირთა მოქმედებამ, სისხლი არ აგვაცდინეს და, აი, 22 თებერვალს, მეზობელ ერთა შორის სისხლი დაიღვარა; შეტაკება მოხდა.

22 თებერვალს, სოფ. შრომის (სიღნაღის მაზრ. ქართველებითაა დასახლებული) ტყეში შეიარაღებულ ქართველებსა და ლეკებს შორის შეტაკება მოხდა. მკვდარი აღმოჩნდა ორი ლეკი, ორიც დაიჭირეს და წამოიყვანეს. შეიარაღებულა მთელი ოლქი და დამზადებულა სისხლის საღვრელად. არც ალაზნის რაიონი ჩამორჩა მას და მთელი შეიარაღდა. ლაგოდეხის (ალაზნის) რაიონი სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. სისხლის ღვრა აუცილებელი შეიქნა, მაგრამ შეგნებულ ელემენტთა ენერგიული შრომით, ორივე მხრიდან სისხლის ღვრას ავსცდით.

მოვიდა ზაქათალიდან დელეგაცია საქმის გამოსარკვევათ ოლქის კომისარის და მ. ჭავჭავაძის (რომელიც თავის თავს ამიერ-კავკასიის კომისარიატის საგანგებო საქმეთა მოხელეს უწოდებდა) და სხვათა თანხლებით. ამოირჩია შრომამ და კაბახჩომ, როგორც მოპირდაპირეებმა საგამომძიებლო კომისია მიუდგომელი პირებიდან, რიცხვით 10 კაცი. კომისია იმ ღამესვე შეუდგა საქმის გამორკვევას. დაკითხეს ორივე მხარის.—ოცდა ექვსამდის საქმე ირჩეოდა. ლაგოდეხის აღმ. კომიტ. სამმართველო გარშემო და მოედანი სავსე იყო ხალხით. უნდოდათ კომისიის აზრის გაგება, თუ ვის იცნობდენ ამ საქმეში დამნაშავეთ. 26 თებერვალს მოვიდა მაზ. კომისარი, პ გელაშვილი, შეერთებული საგამომძიებლო კომის. თავმჯდომარე, მაზრის პოლიტიკური და სარევოლიუციო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მაზრის სხვადასხვა სოფლების წარმომადგენლები. კომისიის მუშაობაში მათაც მიიღეს მონაწილეობა. მართალია, სოფ. შრომელები სოფ. კობახჩოელებიდან დიდ გასაჭირს განიცდიან, ჯეჯილებს აფუჭებენ, ტყეს ჩეხენ და იპარავენ, ბინებს ძარცვავენ და ათასგვარი სხვა, მაგრამ კომისიამ მიიღო ყველა ეს მხედველობაში მაინც შრომელები გაამტყუნა, ვინაიდან 40 შეიარაღებულ კაცს სროლა აუტეხია 4 ლეკისთვის, რისი შედეგებიც ზევით არის მოხსენებული. კომისიამ დაადგინა: „ვინაიდან ამ საწუხარო სისხლის ღვრაში დამნაშავე არის რამდენიმე უპასუხისმგებლო პიროვნება და არა მთელი შრომის საზოგადოება, ამისთვის გამოინახოს პირდაპირი დამნაშავენი და დაისაჯონ სასტიკათ“. შემდეგ დელეგატები გაემგზავრენ ზაქათალაში.

26 თებერვალს, საღამოს სოფ. შრომაში მოხდა კრება მაზრის კომისარის პ. გელაშვილის, სარევოლიუციო ორგანიზაციების და სხვადასხვა სოფლების წარმომადგენლების თანადასწრებით. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: მოხსენება 22 თებერვალს, შრომის ტყეში კობახჩოელებსა და შრომელებს შორის მომხდარ ამბების შესახებ. საშუალების გამონახვა ერთა შორის სოლიდარობის ჩამოგდების შესახებ, ორგანიზაციული მუშაობა, სოფლის მოხელეების შესახებ და ჯარი და მისი ორგანიზაცია.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ლ. ხუციშვილმა. ის ვრცლათ შეეხო ინციდენტს, საგამომძიებლო კომისიის მოქმედებას და მხარეების ჩვენებას. გააცნო კომისიის დადგენილება.

შრომის აღმასრ. კომიტ. განაცხადა: ჩვენ ხალხის ტყეში წასვლის შესახებ არა ვიცოდით და არც მიზანი მათი წასვლისა. როგორც გამოირკვა წინა დღეებში შეკრებილა რამოდენიმე ფრონტიდან მოსული ჯარისკაცი, გადაუყენებიათ ძველი კომ. წევრები. ამოურჩევიათ ახლები და ინციდენტში ახალ ამორჩეულ კომისარს ედებოდა უმთავრესათ ბრალი. მაზრის კომისარმა წინადადება მისცა შრომის აღმასრულებელ კომ. და თვით საზოგადოებასაც, სამი დღის განმავლობაში წარედგინათ დამნაშავენი. მეორე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: დაარსდეს ლაგოდეხში, როგორც ცენტრში, რვა კაცისაგან შემდგარი შერეული საგამომძ. კომისია, რომელშიდაც ამიერ-კავ. კომისარიატს ეყოლება მიუდგომელი და გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე, წარმომადგენლათ თავმჯდომარის თანამდებობაზე, რომელსაც ეყოლება რეალური ძალა, ე. ი. საკმაო რიცხვი მილიციონერების ყველა ეროვნებისაგან შემდგარი, დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანათ. აგრეთვე სისრულეში იქმნეს მოყვანილი 21 იანვარს, სად. წნორზე გამოტანილი დადგენილება—ამის შესახებ ეცნობოს ზაქათალის საოლქო კომისარიატს. მესამე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა პ. გელაშვილმა, რომელმაც საჭიროთ სცნო ენერგიული მუშაობა გლეხთა საბჭოებში და აღმ. კომიტეტებში და სადაც გაუქმებულია ასეთები, დაუყონებლივ აღდგენა.

გერ. ჩიკვაიძე.

# წერილი რედ. მიმართ

ვთხოვ ამხანაგ—მკითხველებს თუ კი რომელიმე მათგანი იანვრის, თებერვლის და მარტის თვეების განმავლობაში დაბრუნებულან ქალაქ კაზვინიდან (სპარსეთი) და რამე იციან იქაური ქართველ-სომხეთა ეროვნულ კავშირების და აგრეთვე ინჟინერ პომორსკის შესახებ ქეთილ ინებონ და მაცნობონ რამე, რადგანაც მე ვალდებული ვიყავი დავბრუნებულიყავ კაზვინში, რაც ვეცადე ორჯერ, მაგრამ ორჯერვე იძულებული ვიყავი გზიდან დავბრუნებულიყავი.

ქ. კაზვინის სამხედრო ეროვნულ-რევოლიუც. ქართველ-სომხეთა კავშირების თავმჯდომარე შაქრო ტალაკაძე. მაცნობონ პირადათ ან წერილით. ავლაბრის ქუჩა, მეშვიდე კომისარიატი, სახლი № 10.

# ცნობები

**ჯარის-კაცთა შესახებ.**

ჯ. ქ. ეპიფანე ესეს ძე ნინიძე მსახურებდა 3 მე „პოგრანიჩნი“ ქვეითა ჯარში, როგორც გავიგე, 24 ქრისტეშ. ჩამოსულა თფილისში, მას შემდეგ არაფერი ვიცით; თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სად. ნატანები კონსტანტინე გიორგის ძე ნინიძეს.

20 მარტიდან იხსნება ახალი

## სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის და კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით ექიმების ე. მ. მძინაროვისა და ლ. მ. ნაზარეტიანისა. სიფილისი და ვენერიული ავათმყოფობათ. მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე და საღამოს 4—8 საათამდე. ღარიბები უფასოთ. კვირაობით დილის 10—12 საათამდე.

(24—1)

## დაიკარგა

16 მარტს 1918 წ. რკინის გზის საქონლის სადგურთან პურის რიგში დგომის დროს დავკარგე საფულე, რომელშიაც იყო 110 მანეთი ფული და წერილები გარდაცვალებულის შვილის კოტესი. უმორჩილესად ვსთხოვ მპოვნელს მხოლოდ საფულე და წერილები დამიბრუნოს, რომელიც ჩემთვის ძვირფასია, ფული თვითონ დაიტოვოს.

ჩემი მისამართი: პარკოვის ქუჩა № 18 ელისაბედ სალუქვაძეს. 1—1

## სახალხო სახლი

ან. სახ. არს. ქართვ. წარ. მმარ. წრე

სამშაბათს, 20 მარტს 1918 წ.

წარმოდგენილი იქნება:

## უპრალოდ დასჯილნი

კომ. 4 მოქ. ოსტროვსკისა თარგ. ი. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ელ. ბარათაშვილი, ნ. ნინოშ-ნი, ელ. იანქოშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ქიაურელი, ბბ. ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი; ალ. მეტრეველი, რ. სალაყაია და ა. თავდგირიძე.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ადგილების ფასი 1 მ. 40 დან 35 კ. დე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე.

შემდეგი წარმოდგენა 28 მარტს.

რეჟ. კ. შათირიშვილი, რეჟ თანაშემწე ალ. ბადრიძე. (2—1)

## ექიმი ვ. გ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავათმყოფ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი ვ. გ. ვეზხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიენდის ქუჩა, № 19.

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და საღ. 4—6 საათზე. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.

ექიმი ქალი

## რ. ბ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი

## დ. ი. ქურდიანი

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

კანტორა „განათლებაში“ იყიდება თაგვების და ვირთხების

## საწამლავი

ოლღას ქ. № 6.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

## ბ. ბ. მეგრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაერიანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიუ“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

ექიმი

## ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი

## გ. დონხინი

ყოფილი იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

## ექიმი ქ. ი. მეარჯანაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტილის გვერდით. ტელ. 15—00.

## ექიმი ნ. ლ. ცურიაშვილი

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

კვირას, 18 მარტს დილის 11 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, დანიშნულია 1, 2, 3 და 4 სამილიციო უბნების სახლის ბინის და რაიონული კომიტეტების წარმომადგენელთა

## საერთო კრება

განსახილველია საკითხები: 1). პურზე ფასის მომატება და 2) მოქალაქეთა რამოდენიმე კათეგორიათ დაყოფა, რომლის თანახმათ თვითეულმა კათეგორიამ სხვადასხვა ფასით უნდა მიიღოს პური. ქალაქში სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ქალაქის გამგეობის წევრი დ. მ. პოპოვი.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## მომხმარებელი საზოგადოება „აღორძინება“

კვირას, 18 მარტს დილის 10 საათზე, სახალხო სახლში დანიშნულია წევრთა

## საერთო წლიური კრება

დღის წესრიგი: 1) 1917 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. 2) ახალი წესდებისა და საზოგადოების რეორგანიზაციის პროექტის განხილვა, 3) მოსამსახურეთა საკითხი, 4) 1918 წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5) მიმდინარე კითხვები, 6) გამგეობისა და სარ. კომისიის არჩევნები.

საზოგადოების წლიური მოკლე ანგარიში დაიბეჭდება საერთო კრების დღისათვის.

წევრებმა, რომელთაც სურვილი აქვთ გაეცნონ ანგარიშს, კეთილ ინებონ და მობრძანდენ საზოგადოების კანტორაში (ვერის დაღმართი № 12) დღის 10—2 საათამდე.

თუ ვინიცობაა 18 მარტს კრება არ შესდგა—მეორე კრება ინიშნება 25 მარტს. იმავე შენობაში და ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

(2—2) საზოგადოების გამგეობა.

## განცხადება

სდგება ახალი საგანგებო ქართული ბატალიონი, რომელიც იქნება მთავრობისა და სეიმის სრულს განკარგულებაში.

ბატალიონის მიზანია: დაცვა რევოლიუციონური მთავრობისა და შენარჩუნება რევოლიუციისაგან მონაპოვარ უფლებათა.

ხსენებულ ბატალიონში ჩაწერის მსურველთ ყოველგვარი ცნობის მიღება ჩარიცხვის შესახებ შეუძლია პრაპ. ესაკიასთან გუდოვიჩის ქუჩა ლაზ. № 50. 3—3

[illegible]